MES 2 20 00402717

22/05/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.05.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:07 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;

2. **დიმიტრი გეგენავა -** შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;

4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;

7. პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

8. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

9. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

10. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

11. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
4	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
5	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დიმიტრი ჯაფარიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	I- II
2	სოფიკო ლობჟანიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის დირექტორი, პროფესორი	I- II

3	მიხეილ გიორგაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	I- II
4	ლია ტვილდიანი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტისგანათლების მიმართულების კოორდინატორი	I- II
5	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II- II
6	ბუბა ოჩიაური	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მასწავლებელი.	II
7	ქეთევან შენგელია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოსტენთ-პროეფესორი	II
8	მარინა ადამია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო ღაღანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	სალომე ჩარკვიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I- II
3	რუსუდან თაყაიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნანა წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ლევან გულუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	მამუკა კოტეტიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ქეთი რობაქიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) აკრედიტაციის განხილვა;

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მუსიკა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი „სტომატოლოგიის“ პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) აკრედიტაციის განხილვა;

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მუსიკა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1.პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) აკრედიტაციის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სასერთიფიკატო
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ.

თვითაცილების საფუძველი: თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი განხილვა:
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ნინო ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში შედგა 17 მარტს დისტანციურ რეჟიმში, თუმცა ის ჩატარდა ყოველგვარი ხარვეზის გარეშე, შეხვდნენ ყველა დაინტერესებულ მხარეს. დღის ბოლოს მათ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები. საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი, შემუშავდა 2017 წელს, მისი შემუშავებისას კვლევის შედეგები იქნა გათვალისწინებული, ნაწილი დაწესებულების მიერ იყო ჩატარებული, მიმდინარეობდა მთელი შეხვედრების ციკლი დამსაქმებლებთან, მასწავლებლებთან, შემდეგ გაანალიზდა შედეგები და აისახა კურიკულუმში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა ჩაატარა კვლევა მასწავლებლის რაოდენობის დეფიციტის შესახებ, ისიც აისახა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში და სწავლის შედეგების ფორმირებისას, კურიკულუმმა მიიღო გონივრულად დაბალანსებული სახე, 60 კრედიტი გონივრულად არის გადანაწილებული 2 ბლოკს შორის: საგნობრივი ბლოკი და განათლება ფსიქოლოგიის ბლოკი. მისი თქმით, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანია პრაქტიკის კომპონენტი, კურიკულუმით დაგეგმილია პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პირველი სემესტრიდან, გათვალისწინებულია მისი 2 სახით განხორციელება სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა და უშუალოდ პრაქტიკის სასწავლო კომპონენტი, ამ მიზნებისთვის გაფორმდა მემორანდუმები პარტნიორ სკოლებთან რა ბაზაზეც განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი. ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ამ საკითხს დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს, თუ რამდენად მყარი იყო ეს ურთიერთობა, რაც დადასტურდა დამსაქმებლის მხრიდან. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პერსონალი, 7- აკადემიური და 8 მოწვეული და პირველ ეტაპზე იგეგმება 15 სტუდენტის მიღება. ექსპერტებს ვიზიტის დროს რეკომენდაციები არ შეუმუშავებიათ, მხოლოდ რჩევები. პირველი რჩევა ეხებოდა ტექნიკურ ხარვეზს, რაც ვიზიტის დროსვე გაირკვა, სასკოლო ურთიერთობების ეთიკის სილაბუსში მითითებული იყო სასკოლო ასაკის განათლების ფსიქოლოგია, რომელიც არ იძებნებოდა, ის უნდა შეიცვალოს სასწავლო კურსის ახალი რეალური დასახელებით. ექსპერტთა მეორე რჩევა ეხება შემაჯამებელი პორტფოლიოს ჩათვლის სახით შეფასებით ფორმას, რომ არ მოხდეს ერთხელ უკვე შეფასებული აქტივობების ხელმეორედ ჩათვლით შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელ ეტაპზე, თავისთავად ამ პორტფოლიოს არსებობა საინტერესო კომპონენტია, რასაც

კურსდამთავრებულებიც საუბრობენ, უბრალოდ რჩევა ეხებოდა შეფასების ამ ფორმას. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისურის ენის მოსამზადებელი პროფესიული განვითარების ტრენინგები, კარგი იქნება თუ ტრენინგების შეთავაზება მოხდება ყველა მიმართულების სტუდენტებისათვის საგნობრივი და პედაგოგიური განვითარების მიზნით. შემდეგი რჩევაა, პერსონალის პირადი ინფორმაცია იყოს ერთ ფორმატში, რაც გაადვილებს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, ყველა მათგანი ქართულ ენაზეა. საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს მასწავლებლებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობა გახდება ნებისმიერი საჭიროების მოსწავლის ინკლუზია განათლების სისტემაში, ამის მისაღწევად საჭიროა მოწვეული ლექტორების იმ ნაწილს რომელთა პროფესია და სილაბუსები არ ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის და ინკლუზიური განათლების ფილოსოფიის პრინციპებს შესთავაზონ ტრენინგები ამ მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მასწავლებლის აღზრდა, როგორც მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისაგან გახდა ცნობილი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მათი თავდაჯერება მაღალია სწავლების ყველა ასპექტში გარდა ნევროლოგიური, სოციალური და სხვადასხვა სინდრომით გამოწვეული რთული ქცევის მართვისას, საგანმანათლებლო პროგრამის ერთ - ერთი სილაბუსი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა შეიცავს კლასის მართვის სტრატეგიას, პოზიტიური გარემოს შექმნას, უდისციპლინო ქცევის თავის არიდების გზებს, თუმცა მასწავლებელს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის აგრეთვე ესაჭიროება ქცევის გამოყენებითი ანალიზის, დევიაციის ფსიქოლოგიის ბრაზის მართვის, ქცევის დარღვევის ნევროლოგიური და სოციალური საფუძვლები, მასწავლებლის უფლებების ცოდნა გამწვავებული ქცევის გაკავების პროცესში, დევიაციური ქცევისას შესაბამის უწყებებთან რეფერირების პროცესის ცოდნა, საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფისთვის მოცემულია რჩევა, გარდა არაფორმალური განათლებისა საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს ქცევის მართვის მინიმუმ არჩევითი კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, აღნიშნა, რომ ვიზიტი ჩატარდა სრული წესების დაცვით. რაც შეეხება რამდენიმე ტექნიკურ ხარვეზს, მან განმარტა, რომ ბოლო წუთს შეიცვალა ფსიქოლოგიის სასწავლო კურსის სათაური, ერთ სიტყვაშია განსხვავება. პროფესიული განვითარების ტრენინგებს რაც შეეხება, მისი თქმით, პროფესიული განვითარების ტრენინგები უნივერსიტეტს აქვს არა მხოლოდ ინგლისური ენის მიმართულებით არამედ ყველა მიმართულებით, რასაც სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის დაწყების შემდეგ შესთავაზებს. უნივერსალურ დიზაინს რაც შეეხება ის არ ეთანხმება ექსპერტს, მისი თქმით, მათ ცალკე კურსი აქვთ ჩართული ინკლუზიური განათლების პრინციპები, შესაძლებელია კლასის მართვის არჩევითი კურსის დამატებაც, თუმცა ამ ეტაპზე ჩათვალეს, რომ ინკლუზიურ განათლების პრინციპები და კლასის მართვა არის დატვირთული სასწავლო კურსები და ამ ეტაპისთვის საკმარისია მხოლოდ ერთი სავალდებულოდ. ასევე, მან აღნიშნა, რომ 300 კრედიტიან „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში“ აქვთ სავალდებულო არჩევითი კურსი „რთული ქცევის მართვა“, თუ ისინი ჩათვლიან საჭიროდ მის დამატებას, მათ აქვთ ფართო არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი. რაც შეეხება იმას, რომ ერთმა სტუდენტმა დაასახელა, რომ მას გაუჭირდა რაღაც მიმართულებით, მისი თქმით, სირთულე მასწავლებელს შეიძლება შეექმნას, ისინი გარანტიას ვერ მისცემენ, რომ მათ რაიმე პრობლემა არ შეექმნებათ მოსწავლესთან. გარდა ამისა, პორტფოლიოსთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ ის არის საუკეთესო პრაქტიკა და ხელახლა არცერთი ნამუშევრის შეფასება არ ხდება, ის არის ორგანიზებული დოკუმენტი, რაც არის საგანმანათლებლო პროგრამის რა სწავლის შედეგებს მიაღწია, რაც არის ერთგვარი თვითშეფასება, კურსდამთავრებულმა 1 წლის თავზე უნდა გააკეთოს რეფლექსია, დასახოს თავისი პროფესიული განვითარების გეგმა, მეორე მხრივ კი დაწესებულების წარმომადგენლებმა გააკეთონ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, რაც

კუმულირებულია 1 დოკუმენტში, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პორტფოლიო სტუდენტის ხელახლა შეფასებას არ ისახავს მიზნად. პირად ინფორმაციასთან დაკავშირებით კი თქვა, რომ გაითვალისწინებენ ამ რჩევას.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა პროგრამას აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მუსიკა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სასერთიფიკატო
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ.
თვითაცილების საფუძველი: თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მეორე საკითხის ზეპირო მოსმენა
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ რუსუდან თაკაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ეხება მუსიკის მიმართულებით მასწავლებლის მომზადებას, სადაც ერთ - ერთი კურსი არის კარლ ორფის ელემენტარული პედაგოგიკა, პირველი რეკომენდაცია სწორედ მას უკავშირდება, რადგან კარლ ორფის საზოგადოება სიფრთხილით ეკიდება მისი სახელის გამოყენებას, უნივერსიტეტის წარმომადგენლებსაც განუცხადეს და შემდეგ მიმართა ამ საზოგადოების წარმომადგენელს პოლო ვალეჰოს, მისი წერილის და თანდართული

დოკუმენტაციის შედეგად გაირკვა, რომ 2019 წლის დეკემბერში გამკაცრა კარლ ორფის ნებისმიერი ფორმით სახელის გამოყენება და თუ კი ვინმეს სურს სალექციო კურსი, სემინარი ჩაატაროს, ის უნდა იყოს ლიცენზირებული ამ ფონდის მიერ. შესაბამისად, ეს სასწავლო კურსი საგანმანათლებლო პროგრამაში ვეღარ იარსებებს იმ სახით რა სახითაც არსებობს. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ მუსიკის საგნობრივ კურსებში წმინდა თეორიული კურსი და სამ სასწავლო კურსში, სადაც არის მუსიკის სწავლება, ინფორმაციულ - საკომუნიკაციო თეორიული და პრაქტიკულ შემოქმედებითი ნაწილი, ორფის კურსი - შემოქმედ საშემსრულებლო აქტივობებზე დაფუძნებული. ამის გათვალისწინებით უმჯობესია მიზნებში აისახოს შემოქმედები უნარები. ექსპერტთა მე -3 რეკომენდაცია არის ის, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გასაფართოებელია შემოქმედებითი უნარების არეალი, რაც წარმოადგენს მუსიკის მასწავლებლის სტანდარტულ ძირეულ ნიშანს, მღერა უფრო ფართო რეპერტუარისა, გუნდის ანსაბლის ხელმძღვანელობა, ერთ ან მეტ ინსტრუმენტზე დაკვრა, მაგალითად აკომპანიმენტის სახით, ამ სამი უნარის გარეშე შეუძლებელია მუსიკის მასწავლებლის წარმატებულად მოღვაწეობა, მუსიკოსების უმრავლესობას ამ უნარებიდან 2 აქვთ განვითარებული. ასევე, ექსპერტის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამას გაამლიერებდა მცირე კურსების სახით დამატება: დირიჟორობის საფუძვლები, ფორტეპიანოზე დაკვრა, რაც შეიძლება მოეთხოვოს სკოლაში. რაც შეეხება რჩევას, მუსიკის მასწავლებლის სტანდარტს, ის მითითებულია მხოლოდ ლიტერატურაში, მუსიკის ეროვნული სასწავლო გეგმას მეტი დრო უნდა დაეთმოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-2 და მე-3 რეკომენდაცია უკავშირდება ერთმანეთს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში მუსიკის მასწავლებელი ასახულია, მიზანი სწორედ ამ სიტყვებით იწყება: მოამზადოს მუსიკის მასწავლებელი, აქედან გამომდინარე, წინადადებაში აღარ გაიმეორეს, რომ მუსიკის მასწავლებლის მოთხოვნებს შეესაბამება განსაზღვრული კომპეტენციები. შემოქმედებითი უნარების შედეგებს რაც შეეხება მისი თქმით, სწავლის შედეგი მიზნიდან გამომდინარეობს და ესთეტიკური სწავლის შედეგი აქვთ ხაზგასმული ერთი სწავლის შედეგის გამოყოფით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლის პროფესია რეგულირდება სახელმძღვანელოს მიერ, სტანდარტიზებულია მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლის სტანდარტი შედგება 2 ნაწილისგან ზოგადი უნარები ანუ პედაგოგიური, ფსიქოლოგიური კომპეტენციები და საგნობრივი კომპეტენციები და მეთოდური კომპეტენციები, საიდანაც მეორე ნაწილი კონკრეტულად იმ საგნის მასწავლებლის მოეთხოვება, რომ ფლობდეს. მისი თქმით, 2018 წელს არის შემუშავებული მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებელი, ის თავად წევრია ამ დარგობრივი მახასიათებლის. ის ამბობს, რომ შემუშავებულია 300 კრედიტიანი და 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, სადაც მოდიან მინიმუმ ბაკალავრ დამთავრებული აპლიკანტები, ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩაბარებული გამოცდა, გამოცდა უნდა ეყრდნობოდეს მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტს, დარგობრივი მახასიათებელი პირდაპირ ამბობს რისი უფლება აქვთ მათ, დარგობრივ მახასიათებელში ჩამოწერილია სწავლის შედგები, თუ რა სტრუქტურა უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელი საგნების ბლოკი რამდენ კრედიტს უნდა შეიცავდეს. მისი განმარტებით, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით უნდა იყოს 2 ბლოკი მეთოდური ანუ ზოგად პედაგოგიური ბლოკი, საგნობრივი მეთოდიკის და სასკოლო პრაქტიკის ბლოკი, სტუდენტს საგნის გამოცდა თუ არ აქვს ჩაბარებული ის ვერ დაიშვება საგანმანათლებლო პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგნობრივი კომპეტენცია განსავითარებელი, რომ ჰქონოდა მაშინ უნდა მიეცათ მათთვის შენიშვნა, ექსპერტმა ვიზიტისას აღნიშნა, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოცდა სრულად ვერ აფასებს ყველა საგნობრივ ცოდნას და უნარებს, მაშინ მათთვის მიემართა, რომ ისეთი გამოცდა უზრუნველყონ სადაც სტუდენტის ყველა საგნის ცოდნა გამოჩნდება. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისას, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ წამყვანი განათლების საგანმანთლებლო

პროგრამები, ისინი არ იკეტებიან უნივერსიტეტის შიგნით და აქვთ გარე რეცენზირებაც, მანანა რატიანი თვლის, რომ ის სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მისი მოსაზრებით, ეს საგანმანათლებლო პროგრამა მიჰყვება სტანდარტს და შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან შენგელიამ კარლ ორფის სახელის გამოყენებასთან დაკავშირებით თქვა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის სპეციფიური საკითხი, ორფის მეთოდოლოგია არის ბავშვების, დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებთან ჯგუფური მეცადინეობის დროს კარგი შედეგის მიღებას, ის არ არის ცალსახოვანი მიმართულება, იქ ჩართულია ბევრი მიმართულება: ბავშვის მოტორიკის განვითარება, ბალანსი, ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობები, ბავშვების თვითდაჯერებულება და ძალიან მიმზიდველია ასეთი სივრცისთვის. ეს ყველაფერი მათთვის არის ძალიან ახალი, მათ შეეძლოთ სხვა სათაური დაერქვათ სასწავლო კურსისთვის და სავარაუდოდ ასეც მოიქცევიან, მაგრამ ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო მათ ინტერესთან ამ ინსტიტუციასთან კონტაქტში, რომლის წარმომადგენელი ორგანიზაცია ასოციაცია იყო ჩართული ამ საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებაში, მათ გამოსცადეს არსებული თანამშრომლობა, გააკეთეს წარმატებული "პილოტ პროექტი", უნივერსიტეტს აქვს მრავალმხრივი ბაზა, შესაძლებელია ამ მიმართულებით ძალიან საინტერესო პროექტები, რაც შეიძლება იყოს სამომავლოდ გამოყენებული საგანმანათლებლო მუშაობაში და კვლევაში. სწორედ, ამიტომ ჰქონდათ დიდი ინტერესი მათთან ურთიერთობის, პროექტი გამოვიდა წარმატებული, შემდეგ ამ სასწავლო კურსს მისცეს ძალიან სპეციფიური სახელი, რაც პირდაპირი თარგმნით სკოლაში მუსიკის სწავლებას ორფის მეთოდით ნიშნავს, თვითონ მეთოდი დაფუძნებულია რითმულ მუსიკალურ აქტივობებზე. მისთვის გასაგებია ლიცენზირების მომენტი, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა, ისინი დაუკავშირდნენ ორფის ინსტიტუციას, ჰქონდათ კომუნიკაცია რ. ქ-თან, რომელიც ძალიან დაინტერესდა ამ სიტუაციით, გადაუგზავნეს დოკუმენტაცია, რომ მას სიტუაციაზე შექმნოდა წარმოდგენა, გაუგზავნეს სასწავლო კურსი თემების მიხედვით, აგრძელებენ კომუნიკაციას და ცდილობენ ტრენინგების თუ კადრების გაცვლის სახით მათთან თანამშრომლობას. მისგან იყო წერილი, სადაც ის მიუთითებს რა პუნქტები უნდა ამოიღონ, საუბარია სულ რამდენიმე სპეციფიურ აქტივობაზე, რომელიც ჩანაცვლებული იქნება, ისინი მუშაობენ ამ მიმართულებით. პრობლემა კადრების სიმწირითაც არის გამოწვეული, რომლებიც ჯერ - ჯერობით ამ დარგში არიან. ისინი ამ რეკომენდაციას იღებენ.

დაწესებულების წარმომდგენელმა მარინა ადამიამ დაამატა, რომ როდესაც, "გეო ორფთან" ჰქონდათ კონტაქტი, მათი რჩევით გაკეთდა საგნის ასეთი დასათაურება, შემდეგ კი როდესაც მათ აკრედიტაციაზე შემოიტანეს განაცხადი მათ უარი განაცხადეს თანამშრომლობაზე, დეკემბერში კი ამ სახელის ბრენდირებაც მოხდა. მისი თქმით, ისინი არიან მოლაპარაკების პროცესში რ. ქ-თან, თუმცა ამ ეტაპზე სჯობს სათაურის ცვლილება. ის თვლის, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამა ძალიან საინტერესოა და კარგი იქნება თუ ის სხვა უნივერსიტეტებშიც იარსებებს.

ექსპერტმა გაიმეორა, რომ მიზანში შემოქმედებით და ესთეტიკურ უნარებთან ერთად, საშემსრულებლოც უნდა იყოს ხაზგასმული, რადგან ის მუსიკის დარგის სპეციფიკაა, რომელსაც სკოლაში არცერთი სხვა საგანი არ ანვითარებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან შენგელიამ თქვა, რომ ისიც იზიარებდა ამ მოსაზრებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამა არ უნდა ავითარებდეს საშემსრულებლო კომპეტენციებს დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.

ექსპერტმა თქვა, რომ მისი მოსაზრებით, მუსიკის გაკვეთილი არ არსებობს, ისე, რომ მუსიკის მასწავლებელს ყველა ეს უნარი არ ჰქონდეს განვითარებული. მუსიკოსი არის ან დირიჟორი, ან მუსიკის მცოდნე, ან შემსრულებელი ან ინსტრუმენტალისტი, შეუძლებელია ყველა მათგანს ყველა ეს უნარი ჰქონდეს განვითარებული, ნორმალურად განვითარებული ვოკალური მონაცემების გარეშე, შეუძლებელია სიმღერის სწავლება სიმღერის გარეშე, მითუმეტეს, რომ მღერის პროცესი ასახულია ტრადიციული მუსიკის სწავლების კურსში. მისი თქმით, შემოთავაზებული შემოქმედებით უნარები შეიძლება განვითარდეს და გაუფართოვდეს რეპერტუარი, ამ სახით მიიღოს ვოკალური უნარების განვითრების შესაძლებლობა, მაღალკვალიფიციური მუსიკის მასწავლებლის მომზადება არის ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი. ექსპერტის მოსაზრებით, აკომპანირება, რომელიც აუცილებელია მღერის, ცეკვის დროს მასწავლებელს უნდა შეეძლოს სმენით თანხლების გაწევა. რაც შეეხება შეფასებისა და გამოცდების ცენტრს ამ უნარებს ვერ შეამოწმებს და უნივერსიტეტიც არ ამოწმებს როდესაც ის იღებს სტუდენტს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მუსიკის მასწავლებელი საშემსრულებლო უნარების გარეშე ვერ იარსებებს, თუმცა დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით საგნობრივ კომპეტენციაში სტუდენტს ვერ მოამზადებენ, რადგან 60 კრედიტში ამის გათვალისწინების არანაირი უფლება მათ არ აქვთ, ამას უნდა აფასებდეს გამოცდა. თუ ექსპერტს მიაჩნია, რომ აუცილებელია ეს კომპეტენცია, მან უნდა მიმართოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რომელმაც ისე უნდა მოაწყოს გამოცდა, რომ მოხდეს საშემსრულებლო უნარების შემოწმება, ან მიმართონ ცენტრს, რომ დარგობრივ მახასიათებელში შევიდეს ცვლილება საგნობრივ კომპეტენციაზე ორიენტირებული სასწავლო კურსებიც შეიტანონ, ამის საშუალებას ეს 60 კრედიტი არ იძლევა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ 13 მიმართულების 60 კრედიტიანი საგანანმანათლებლო პროგრამა აქვთ აკრედიტებული, სადაც არსად აქვთ საგნის სწავლება შეტანილი, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს ესთეტიური დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.

ექსპერტმა თქვა, რომ არცერთ სხვა საგანში არ არის ისეთი სპეციფიკა, როგორიც აქვს მუსიკას, სტუდენტების საშემსრულებლო უნარები უნდა შემოწმდეს.

საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა თქვა, რომ მუსიკის 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა ძალიან საჭიროა, როდესაც ვაკანსიები გამოცხადდა ყველაზე მოთხოვნადი იყო მუსიკის მასწავლებელი, ის დაინტერესდა თუ რატომ მოხდა ასე, რადგან მან იცის, რომ უმეტესობა სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც სკოლაში მუშაობენ, აქვთ მუსიკალური განათლება, ამაზე მას პასუხი გასცეს, რომ იყო სერიოზული გამოცდა, რომელიც სტანდარტებზე და მახასიათებელზე იყო გათვლილი და ბევრმა მათგანმა ვერ ჩააბარა ეს გამოცდა. საბჭოს წევრი ფიქრობს რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროგრამაა, ექსპერტმაც დაადასტურა მისი აუცილებლობა, თუმცა თვლის, რომ ის დასახვეწია.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ თქვა, რომ 2 წელია გაჩნდა ონლაინ სწავლების აუცილებლობა, რაც უფრო აქტუალური გახდება უახლოეს მომავალში. მას აინტერესებს საგანმანათლებლო პროგრამაში რამდენად არის ონლაინ მიდგომა გათვალისწინებული. რამდენიმე სკოლა ონლაინ მუსიკის გაკვეთილებს აგრძელებს, ის დაინტერესდა დღევანდელი კურიულუმით რამდენად შესაძლებელია შედეგზე გასვლა.

ექსპერტმა თქვა, რომ ის არის მუსიკის ექსპერტ კონსულტანტი მასწავლებლის პროფესიის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მათ აქვთ ყველა საგნის მიმართულებით გაკეთებული

ვებინარები, უკვე 2 ვებინარი დადეს ონლაინ სწავლებაზე და კიდევ გააგრძელებენ, ძალიან ბევრმა მასწავლებელმა ძალიან კარგად გაართვა ამ ყველაფერს თავი, თუმცა ცოტა ჭირს შემოქმედებითი უნარების ვებინარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა ადამიამ აღნიშნა, რომ ის ამ მხრივ ვერ ხედავს ვერანაირ პრობლემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში პირდაპირ დისტანციური სწავლება არ არის შეტანილი, თუმცა შეტანილია ციფრული ტექნოლოგების გამოყენება სასწავლო პროცესში, ცვლილებები კი სჭირდება შეფასების სისტემას, რაც მათ შეცვალეს. მისი თქმით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს განმავითარებელ შეფასებას, რადგან პედაგოგების საქმიანობა გაორმაგდა, დიდი ნაწილი უნდა გადავიდეს დამოუკიდებელ სწავლებაზე.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ძალიან საინტერესოა, ეს არის განათლების საგანმანათლებლო პროგრამა ის ვერ იქნება ორიენტირებული საშემსრულებლო უნარებზე, ის შედეგზე გადის საგნებიდან გამომდინარე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი არის მასწავლებლის მომზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სწავლის შედეგი, რაც კი წარმოდგენილი აქვთ შეფასებული აქვთ.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორს „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭომ გასცა შემდეგი რეკომენდაცია:
გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის შემადგენელ ერთ-ერთ კურსში კარლ ორფის სახელის გამოყენება ორგანიზაციის Carl-Orff-Stifftung (კარლ ორფის ფონდი) მიერ დაწესებული რეგულაციების დარღვევად ჩაითვლება. კურსთან - „კარლ ორფის მუსიკის ელემენტარული პედაგოგიკა" (6 კრედიტი) დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა მიმართა Carl-Orff-Stifftung-ს (კარლ ორფის ფონდი). პასუხის თანახმად, ორგანიზაცია 2019 წლის 3 დეკემბრიდან მასთან აკრედიტაციის გავლას ითხოვს კარლ ორფის მეთოდთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის სალექციო კურსის/სემინარის/ტრენინგის-ფუნქციონირებისათვის, ხოლო კურსის წარმართვის უფლება ლიცენზიის სახით ენიჭება მხოლოდ ფონდის მიერ სერტიფიცირებულ პედაგოგს. შესაბამისად, კურსის „კარლ ორფის მუსიკის ელემენტარული პედაგოგიკა" ფუნქციონირება არსებული სახით არ იქნება შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ან ლიცენზიის მიღება აღნიშნულ კურსზე ან სახელწოდებისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი კენჭისყრაზე პროგრამის აკრედიტაციის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა პროგრამას აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მევენახეობა და მეღვინეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 18 მარტი, N43
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0192, დ. გურამიშვილის გამზ. №17, კორპ №11
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ.
თვითაცილების საფუძველი: თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მათი პოზიცია. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს თავჯდომარეს ჰკითხა თუ შეხვედრია მას დასკვნა, სადაც მე-2, მე-4 მე-5 სტანდარტები სრულ შეუსაბამობაშია და მე-3 სტანდარტი სრულად შესაბამისი, სადაც კურსდამთავრებულთა 80% დასაქმებულია თავისი მიმართულებით და ასეთი მძიმეა დასკვნა. მისი თქმით, ის არ ეთანხმება არცერთ რეკომენდაციას, მათ აქვთ ანალოგიური ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაც, საიდანაც გაავლებს პარალელებს. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 24 თებერვალს, ექსპერტები იყვნენ არაკეთილგანწყობილნი, საქმისადმი არაკვალიფიციური მიდგომით, ისინი ფაქტობრივად არ იყვნენ გაცნობილი საგანმანათლებლო პროგრამას და მიზანმიმართულად ამძიმებდნენ მდგომარეობას, არ ისმენდნენ პასუხებს, იყო ზოგიერთ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი განცხადებები და კომენტარები, ეს არ ეხება ექსპერტ ქეთევან რობაქიძეს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უხეშად იქნა მინისტრის 65/ნ ბრძანების მე -2 მუხლი 24 -ე მუხლი, ასევე, ავტორიზაციის და აკრედიტაციის ეთიკის კოდექსის მე -2, მე - 3 და მე -4 მუხლი. მისი თქმით, აკრედიტაციის მიზანი არის საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრით, განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის მექანიზმების განვითარებაა, ექსპერტები არ იყვნენ კეთილგანწყობილები, დასკვნაში სიტუაცია ხელოვნურად არის დამძიმებული, ყველა რეკომენდაცია არ არის ფაქტზე დამყარებული. ის ფიქრობს, რომ მე -2, მე-3 და მე-4 პუნქტები ერთმანეთის დუბლირებაა, ისე, როგორც მე-5 და მე-7 პუნქტები, მე 19 და 21 პუნქტები, მე 14 მე 16 და 26 პუნქტები, 27 - ე და 28 - ე პუნქტები, რასაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა. რაც შეეხება პროცესს ის წარიმართა საკმაოდ მძიმედ, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დაისვა ის კითხვა, რომელიც შემდგომ 27 - ე და 28 - ე რეკომენდაციებშია ასახული, რაზეც მათი პასუხი არის ის, რომ ის ცხრილი რომელსაც ითხოვ ცენტრი და სტანდარტებით არის გათვლილი არ იძლევა სრულად ბიუჯეტის დათვლის საშუალებას, მათ აქვთ მიდგომა, ასახონ სახელფასო ფონდი, რომელიც ხმარდება ამ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ ადამიანებს, დანარჩენი კი მოდის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, ნებისმიერი სტუდენტი და პროფესორი ნებისმიერი თხოვნით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს, საბჭო მსჯელობს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ფაკულტეტის ბიუჯეტი არის 4 მილიონზე მეტი და არის თვითკმარი, ანუ მათ არა თუ სჭირდებათ თანხების მოძიება არამედ მათი გარკვეული ნაწილი ცენტრალურ ბიუჯეტში მიდის. მან თქვა, რომ ზოგადად მე-4 სტანდარტი ნიშნავს, რომ რესურსი არ არის ხელმისაწვდომი ან სტუდენტებს არ მიუწვდებათ ხელი ან საგანმანათლებლო პროგრამას აქვს რაიმე პრობლემა განხორციელებაში, მისი თქმით, მათ აქვთ წარმოდგენილი დოკუმენტი, 2019-20 წლებში თუ რა ხარჯები გაიღო ფაკულტეტმა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის, ნებისმიერი

სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსური თვალსაზრისით არის წამგებიანი მათ დარგში, თუმცა მათთვის მთავარი არის სტუდენტი, თუ აქვს მას რესურსზე ხელმისაწვდომობა, თანხა მოდის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, მაგალითად, ლაბორატორიული დანადგარების შესყიდვაზე დახარჯულია 371 ათასზე მეტი ლარი, სამეცნიერო ხარჯებზე 191 ათას მეტი ლარი, რაც არის არა პირდაპირი დაფინანსება, რაც შეეხება პირდაპირ დაფინანსებას მხოლოდ გასული წლის განმავლობაში მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე სტუდენტებისთვის 12 ათასი ლარი, სტუდენტების მივლინებაზე, თითო სტუდენტზე - 4 000 ლარი, კონფერენციებზე და სტატიებზე - 1 000 ლარი, თუ საგანმანათლებლო პროგრამას თავისი რესურსი არ აქვს, საიდან მოიტანეს თითო სტუდენტზე 4 000 ლარი, რომელიც თითქმის სწავლის გადასახადს წარმოადგენს. რაც შეეხება 27, 28 რეკომენდაციებს, მისი განმარტებით თუ რაიმე პრობლემა არის ჩანაწერის მხრივ მაშინ უნდა დასმულიყო კითხვა ექსპერტის მხრიდან და რეკომენდაციის ხასიათი არ უნდა ჰქონოდა, მითუმეტეს, რომ საკმარისი რესურსი სტუდენტი, რომ შედეგზე გავიდეს სახეზეა, სტუდენტის ყველა მოთხოვნის გათვალისწინება ხდება, ის რომ საგანმანათლებლო პროგრამას ხმარდება 190 ლარი არის სრული აბსურდი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროცესები მძიმედ გაიმართა, გასაუბრებისას დაინტერესებულ პირებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ექსპერტები წინასწარ იყვნენ მიმართული, რომ შეექმნათ მძიმე სურათი, ერთ - ერთი ბოლო იყო სტუდენტებთან გასაუბრება, საიდანაც ისინი გამოვიდნენ ძალიან გაღიზიანებულები, ექსპერტები იყვნენ ცინიკურად სტუდენტებს მიმართ განწყობილები, იქცეოდნენ გამომწვევად, სტუდენტები აპირებდნენ საჩივრის დაწერას ან ცენტრის დირექტორის, ან მინისტრის სახელზე და ბოლოს მან სთხოვა სტუდენტებს, რომ მის სახელზე დაეწერათ. მან ამოიკითხა სტუდენტების განცხადებიდან ამონარიდი, მაგალითად, ექსპერტებმა დეტალურად ითხოვეს აღეწერათ ლაბორატორიული ანალიზის მეთოდოლოგია, სტუდენტმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გიარა მეთოდოლოგია, ეს შეკითხვა არ არის სწორი, ლაბორატორიაში სტუდენტი ძირითადად იღებს 2 უნარს: მეთოდიკების სწორად შერჩევა, ლაბორატორიული ანალიზის მეთოდოლოგიას ის ყოველი ლაბორატორიაში შესვლის წინ კითხულობს, რადგან მეთოდოლოგიის ცოდნა ზეპირად არ არის საჭირო, შემდეგ, კომისიის ერთ - ერთი წევრისაგან სტუდენტმა მიიღო დამცინავი რეაქცია მეთოდიკის ახსნისას, თუმცა როგორც გადამოწმდა ის სწორად ხსნიდა მეთოდიკას, ექსპერტს ჰქონდა მსგავსი კომენტარი: „მე შენ ლაბორატორიაში არ მიგიშვებდი ანალიზზე, მე მეღვინე ვარ შენზე უკეთ ვიცი ყველაფერი“, ასევე, ექსპერტებმა სტუდენტებს ჰკითხეს მისაღებ გამოცდებზე რა კითხვები მოუვიდეთ და უთხრეს, რომ ცოდნოდათ ემახსოვრებოდათ, ექსპერტის რეპლიკა ღვინის მარკეტინგთან დაკავშირებით იყო, რომ მისი სწავლა ინტერნეტშიც შეიძლება. მისი თქმით ეს საგანი ბევრ საგანმანათლებლო პროგრამაში ისწავლება ძირითად საგნად, ასევე, სტუდენტს, რომელსაც ექიმის ბაკალავრის ხარისხი ჰქონდა უთხრა: „აქ რა გინდოდა ექიმი ყოფილიყავი და გადაგერჩინა ხალხი“, ვიზიტის ბოლოს ხარისხის სამსახურს უფროსმა საბუთებში აღმოაჩინა დანაკლისი და ცენტრის წარმომადგენლის ჩართულობა, რომ არ ყოფილიყო საბუთებს დაკარგავდნენ. 24 - ე რეკომენდაციებთან დაკავშირებით, სადაც ეწერა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმებულმა აკადემიურმა, სამეცნიერო და მოწვეულმა პერსონალმა მეტად განახორციელოს მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, ხოლო 25 - ე რეკომენდაციაში წერია, რომ აკადემიურმა პერსონალმა უნდა გამოაქვეყნოს უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიები, მან თქვა, რომ ამას შეიძლება ჰქონდეს რჩევის ხასიათი, ექსპერტი აპელირებდა, რომ ის ცნობს მხოლოდ როიტერის ინდექს, მათ აქვთ შიდა საუნივერსიტეტო რეკომენდაცია, ფაკულტეტებთან ერთად შედგენილია, იმ სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალი, რომელშიც პერსონალს შეუძლია გამოაქვეყნოს სტატია, მისი განმარტებით, უნივერსიტეტმა ამ პოლიტიკის გატარებით მიაღწია იმას, რომ 2020 წლის დასაწყისში მოწერილია რექტორის სახელზე წერილი, რომ 2018-19 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი Web of Sciense-ის მონაცემებით იყო პირველ ადგილზე პუბლიკაციებით და ციტირებებით. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ ძირითად პერსონალს არ აქვს პუბლიკაციები, მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამაში

ჩართულია პერსონალი, რომელიც ძირითად მაპროფილებელ საგანს კითხულობს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და მაგისტრანტების ხელმძღვანელი, მაგისტრის ხელმძღვანელები არიან დ. მ-ე, თ. გ-ი, ნ. ჩ-ი, ლ. უ-ე, თუ უფრო მაღალი დონის სპეციალისტები ვინმეს ეგულება, იმათაც აიყვანენ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, როდესაც ის გასაუბრებაზე იყო დაისვა საკითხი, რომ მას გ. ქ-ას, ვ. უ-ეს და მ. ბ-ს, რომლებიც არ ასწავლიან მაპროფილებელ საგნებს არ ჰქონდათ გამოქვეყნებული სფეროს პუბლიკაციები, ექსპერტთა დასკვნაში არსებობს გაურკვეველი ჩანაწერი, რომ მათ ბოლო 5 წლის განმავლობაში ან არ ჰქონდათ გამოქვეყნებული პუბლიკაციები ან რაღაცაშია საქმე, იმისათვის, რომ სიტუაციაში გარკვეულიყვნენ მათ არ მოუთხოვიათ დამატებითი დოკუმენტაცია, მისი თქმით, პირადად მას ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული აქვს 12 სტატია, ნახევარი მაინც ამ მიმართულებით, რომც არ ჰქონოდა საერთოდ გამოქვეყნებული სტატია, არანაირი პრობლემა არ იყო, რადგან ის არ ყოფილა არცერთი დოქტორანტის ხელმძღვანელი, საერთოდ ლექცია არ წაუკითხავს და წელს მისი სილაბუსი მოხდა ამ საგანმანათლებლო პროგრამაში, 1 წელი ამ საგანს წაიკითხავს და ამით რჩება მისი მოღვაწეობა, ანალოგიური შემთხვევა არის დანარჩენ პროფესორებზეც, რომლებიც მითითებული ჰყავდათ ექსპერტებს. ასევე, მან აღიარა, რომ საბუთების წარდგენისას სივები არ იყო სრულად წარდგენილი, მისი, ვ-ს და მ-ს სივები არ იყო სრულად წარდგენილი და ბოლო 5 წლის სტატიები არ იყო შეტანილი, თუმცა მისი თქმით, ვ-ს გაკეთებული აქვს დანერგვები ამ მიმართულებით, მათ დარგში კი დანერგვები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სტატიები და ციტირება. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციას რაც შეეხება მან თქვა, რომ ისინი ახორციელებენ ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამას ინგლისურ ენაზე, რომლის ფარგლებშიც ისინი თანამშრომლობენ სუპანრო მონტერესთან რომელიც მოქმედებს ინრას ბაზარზე. ინრა არის მსოფლიოში აგრარული მიმართულებით პუბლიკაციების მხრივ მე-2 ადგილზე, ევროპაში უფრო ძლიერი ინსტიტუცია არ არსებობს. 6 მაისს მოუვიდათ წერილი, რომლის კონსორციუმის შემადგენლობაში შედის 10 ევროპული უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, წერილში წერია, რომ კონსორციუმი იქნება მოხარული იხილოს ეს საგანმანათლებლო პროგრამა მის შემადგენლობაში და იწვევენ გ. ქ-სა და დ. მ-ეს მომავალი ლექციების ჩასატარებლად, უნივერსიტეტმა საჭიროა გადადგას გარკვეული ნაბიჯები, რომ ამ ორგანიზაციის სრულ უფლებიანი წევრი გახდეს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე - 4 სტანდარტი ექსპერტების მიერ შეფასდა, როგორც სრულად შეუსაბამო, რაც მისთვის ძალიან გულდასაწყვეტია, რადგან ბოლო 3 წლის განმავლობაში, ყველა სემესტრში ჰყავთ მინიმუმ 1 გაცვლითი სტუდენტი, რომელიც ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, წერილში წერია, რომ სხვა სტუდენტებმაც გამოთქვეს სურვილი გაცვლით მობილობასთან დაკავშირებით, ამის ფონზე რესურსების სრულად შეუსაბამობა და იმის თქმა, რომ სურვილიც არ გვაქვს რაიმე გამოვასწოროთ სცდება ყველაფერს. დაწესებულების წარმომადგენელმა ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან 26 - ე რეკომენდაცია, რომ „ღვინის ქიმიის“ ლაბორატორიული მეცადინეობები ჩატარდეს უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, „ღვინის ქიმიასთან“ გაცემულია 3 რეკომენდაცია, ამ დასკვნის ერთადერთი ინდიკატორი შეიძლება ყოფილიყო სტუდენტების გამოთქმა, რომელთანაც იყო მეორე სემესტრის პირველი სამუშაო შეხვედრა, ეს საგანი კი პირველი წელია არსებობს, მე-2 კურსელი სტუდენტი ამას ვერ დაუდასტურებდა. საგანმანათლებო პროგრამამ მოდიფიცირება განიცადა სექტემბერში და იქიდან მოყოლებული არსებობს „ღვინის ქიმიის“ საგანი საგანმანათლებლო პროგრამაში. მისი თქმით, დანარჩენი რეკომენდაციებიც არ არის ფაქტობრივ გარემოებაზე დამყარებული, მოწვეული ექსპერტები არ იყვნენ მოწოდებულები, რომ სიტუაციაში გარკვეულიყვნენ სწორად. ზოგადად ის ფიქრობს, რომ აკრედიტაციის დანიშნულება არის საგანმანათლებლო პროგრამის ნაკლის გამოვლენა და არა დასჯა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ლომიძემ აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციას, უნდა შეიცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია ამჟამინდელი მისანიჭებელი კლასიფიკაციის მიხედვით და ჩამოყალიბდეს როგორც 0811.1.2 - მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი, ისინი არ ეთანხმებიან, ექსპერტები არ გაეცნენ წარდგენილ დოკუმენტაციას, თავისი დასკვნაში

აღნიშნავენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის საბჭომ 2015 წლის 18 მარტის N 43 გადაწყვეტილებით მიანიჭა აკრედიტაცია, ექსპერტებს მაშინ დასკვნაში ჰქონდათ ერთადერთი რეკომენდაცია - მისანიჭებელი კვალიფიკაცია სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრის (0104) ნაცვლად აგრარული მეცნიერებების მაგისტრი (0101) მინიჭებულიყო. აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულია. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ მინისტრის 120/ნ ბრძანების მე-2, მე-4, მე-5 მუხლების შესაბამისად დარღვეული არ ყოფილა ბრძანების მოთხოვნები, კვალიფიკაციის მინიჭება მოხდა სწორად და 1.1 ქვესტანდარტის შეფასებისას, ექსპერტების მხრიდან, დარღვეულია მინისტრის 65/ნ ბრძანების 25 მუხლის მე 3 პუნქტი, სადაც წერია, რომ ექსპერტი მანამდე უნდა გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტაციას, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ექსპერტი წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ვალდებულია ვიზიტის ფარგლებში შეისწავლოს ყველა საკითხი, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიურება, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. მისი თქმით, 1.1 და 1.2 ქვესტანდარტის შეფასებისას დაირღვა მინისტრის 65/ნ ბრძანების 26^1 და 27^1, ბრძანების მესამე დანართი, სტანდარტის აღწერილობითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში უგულველყოფილია დანართი 3 - ის შეფასების კრიტერიუმი, მაგალითად, დანართი 3 გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებით დარღვეულია საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამისობა, იგი საჭიროა შეფასდეს არა 1.1 ქვესტანდარტში საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში, არამედ 1.2 ქვესტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მტკიცებულებები არის მწირი, არ შეესაბამება დანართი 3-ის განსაზღვრულ მტკიცებულებას, ქვესტანდარტების მტკიცებულებაში მითითებულია: მაგისტრანტის დებულება, თვითშეფასების დოკუმენტი, ინტერვიუ, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რითაც გაუგებარია რომელ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზეა საუბარი, თვითშეფასების ანგარიშის სახელწოდება შეცდომით არის აღნიშნული, გაურკვეველია ვისთან იყო ინტერვიუ და მსგავსად არის წარმოდგენილი მტკიცებულება ყველა ქვესტანდარტის შემთხვევაში, დარღვეულია ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტები. მან დასაქმების სფეროებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით თქვა, რომ ისინი არ ეთანხმებიან რეკომენდაციას, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმების სფეროდ მითითებულია ის ორგანიზაციები, რომელშიც დასაქმება შეუძლიათ და დასაქმებული არიან სტუდენტები. შესაბამისად, შესაძლებელი იყო ამ რეკომენდაციის რჩევის სახით გაცემა, გამომდინარე აქედან, 1.1 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მისი თქმით, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, 1.2 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, გაიცა რეკომენდაცია, რომ ლაბორატორია და პრაქტიკა იყოს გათვალისწინებული, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შეფასების კრიტერიუმები, რაც უცნაური რეკომენდაცია, რადგან სწავლის ლაბორატორი არის სწავლის მეთოდები და კრიტერიუმები ცოტა სხვა რამეა, გაურკვეველია ყველა სილაბუსში ის როგორ უნდა გამოიტანონ. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ყველა სასწავლო კურსი მოიცავს შეფასების შესაბამის მეთოდებს და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევას დადგენის საშუალებას იძლება, გამოიყენება სწავლის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მოდულები, შესაბამისად გაუგებარია რას გულისხმებოდნენ ექსპერტები აღნიშნულ რეკომენდაციებში. მისი თქმით, 1.2 ქვესტანდარტის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მე -2 სტანდარტს რაც შეეხება, საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე -2, მე - 3 და მე- 4 რეკომენდაცია არის ერთიდაიგივე, განხორციელდეს ცვლილება პროგრამაზე დაშვების შიდა საუნივერსიტეტო პირობებში, იმგვარად, რომ მიღებული სტუდენტების კონტიგენტს თანაბრად და წარმატებით შეეძლოს არსებული პროგრამის დაძლევა, ექსპერტები ვერ გაერკვნენ ძველ 2018 წლის 2 აპრილის დადგენილებით მოდიფიცირებულ და ახალ 2019 წლის 23 სექტემბრით მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამას შორის განსხვავებში, აკრედიტციის საბჭოზე განსახილველად შემოსულია ახალი საგანმანათლებლო პროგრამა,

რომელიც მოდიფიცირდა 23 სექტემბერს, შესაბამისად, მაგისტრანტების ჩარიცხვა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე 23 სექტემბერს ვერ განხორციელდებოდა, მათი ჩარიცხვა განხორციელდა იმ დროს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით, დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით. გამომდინარე აქედან, მისი თქმით, ექსპერტები არ გაეცნენ დოკუმენტაციას, დაირღვა მინისტრის 65/ნ ბრძანების 25 - ე მუხლის მე - 3 პუნქტი, 26 - ე მუხლის მე - 3 პუნქტი. რაც შეეხება მე - 3 რეკომენდაციას, ეს არის, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხონ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ დაშვების წინა პირობას, ხოლო მე -4 რეკომენდაცია არის არასათანადო წესით ჩარიცხული სტუდენტების მიმართ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, ორივე რეკომენდაცია ერთმანეთს გავს და ექსპერტებმა გასცეს ისინი სიტუაციის დასამძიმებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან მე - 9 რეკომენდაცია, პირველ სემესტრში დაემატოს მევენახეობა-მეღვინეობის შესავალი არჩევითი კურსი, მისი თქმით, ექსპერტები ვერ ერკვევიან საფეხურის შესაბამისობაში და დასკვნას აკეთებენ მე - 2, მე - 3, მე - 4 რეკომენდაციის მცდარ შეხედულებაზე, არ მომხდარა საკითხის შესწავლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ქვარცხავამ დაამატა, რომ დაშვების წინაპირობის რეკომენდაცია ახალი საგანმანათლებლო პროგრამით უკვე გამოსწორებულია, რეალურად, მე - 2, მე - 3, მე -4, მე - 9 რეკომენდაციები გაცემულია იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც ადრე ახორციელებდნენ, ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამები ერთმანეთშია არეული, რეალურად, ეს რეკომენდაციები არ შეიძლება არსებობდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინა საგანმანათლებლო პროგრამას შეზღუდვა დაშვების წინაპირობაში არ ჰქონდა ამ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს. შესაბამისად, მე-9 რეკომენდაციას არ ეთანხმებიან, მევენახეობა მეღვინეობის ზოგადი მიმოხილვა ისწავლება სასწავლო კურსში ამპოგრაფია. პირველ, მეორე, მეათე და მეთერთმეტე სალექციო თემებში, სასწავლო კურსში მევენახეობის ოპერაციულ მართვა, პირველ მეორე სასწავლო თემებში და ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგია პირველ, მეორე და მეცამეტე თავებში, ექსპერტები არ გაეცნენ საგანმანათლებლო პროგრამას. მან განაგრძნო დასკვნის ამოკითხვა, სადაც ეწერა, რომ შეთავაზებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს შორის უნდა იყოს გათვალისწინებული უნგლისური ენის სათანადო ფლობა, რასაც ისინი არ ეთანხმებიან, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობაში აღნიშნულია, რომ მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ აგრარული მეცნიერების, მეცნიერება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხა სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, რაზეც ინფორმაცია განთავსებულია ვებ - გვერდზე. მისი თქმით, ბაკალავრს გააჩნია უცხო ენის სათანადო ცოდნის დონე. შესაბამისად, მისი თქმით, 2.1 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2.2 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, გაიცა რეკომენდაცია, რომ უნდა გასწორდეს პროგრამის აღწერა და შესაბამისობაში მოვიდეს ცხრილთან „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“, ექსპერტები არ გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაცია, რადგან ასეთი ცხრილი არ არსებობს დოკუმენტაციაში. ექსპერტთა მე - 6 რეკომენდაცია არის პროგრამის აღწერაში დაემატოს არჩევითი კურსები: „ფიზიკური და კოლოდური ქიმია“, „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“, რასთან დაკავშირებითაც მან თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ეს სასწავლო კურსები წარმოდგენილია შესაბამისს ცხრილებში, გამორჩათ მისი აღწერით ნაწილში გამოტანა. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ, როგორც რჩევა. ექსპერტების მე - 7 რეკომენდაცია არის ცხრილში „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“ გასწორდეს შეცდომები, რაზეც მან თქვა, რომ ეს რეკომენდაცია არის მე - 5 რეკომენდაციის იდენტური, მდგომარეობა დამძიმებულია ხელოვნურად. ასევე, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამის საათობრივი

დატვირთვის ცხრილი არ არსებობს მათ მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში. ექსპერტთა მე - 8 რეკომენდაცია არის საგანი „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ გახდეს სავალდებულო, რასაც დაწესებულების წარმომადგენელი არ ეთანხმება, ექსპერტები არ გაეცნენ დოკუმენტაციას, რადგან ეს საკითხები განხილულია სხვა სილაბუსებში და არჩევით საგნებად იმიტომ არის გამოტანილი, რომ საგანს მიმართულების მიხედვით ირჩევს სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო დასკვნის კითხვა, სადაც ეწერა, რომ ბიზნეს კომუნიკაციის კურსებისათვის შერჩეული იყოს ვალიდური და საერთო უნიფორმული, საერთო ძირითადი ლიტერატურა, სილაბუსებში კურსების გასწვრივ, რომლებიც შეიძლება მიეწოდოს სტუდენტს სხვადასხვა ენაზე, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები ნაწილობრივ ეთანხმებიან, კერძოდ, უკვე ხორციელდება სასწავლო კურსების ბიზნესის კომუნიკაციის არსებული ძირითადი ლიტერატურის დაახლოება ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე. ის თვლის, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2.2 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, 2.3 ქვესტანდარტი არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან, სილაბუსში „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“ თავიდან ჩამოყალიბდეს ლაბორატორიული სამუშაოების შინაარსი და თემატიკა, განისაზღვროს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების სისტემა, მისი თქმით, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სილაბუსში არის ტექნიკური ხარვეზი, ლაბორატორიულის მაგივრად უნდა ეწეროს პრაქტიკული სამუშაოების ცხრილი, რაც საგანმანათლებლო პროგრამაში საათების განაწილების ნაწილში მითითებულია. ექსპერტთა მე - 11 რეკომენდაცია არის სილაბუსი „საწარმოო ნარჩენების მართვა“ უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი ძირითადი ლიტერატურითა და სახელმძღვანელოთი, რასაც ისინი არ ეთანხმებიან, რადგან, მისი თქმით, სილაბუსი უზრუნველყოფილია ძირითადი ლიტერატურით. ექსპერტთა მე - 12 რეკომენდაციაა მთლიანად შეიცვალოს „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკის“ სილაბუსის შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში დასახელებასთან, რაზეც მან თქვა, რომ სილაბუსის სათაური შეესაბამება სათაურს, ექსპერტებმა ხელოვნურად დაამძიმეს მდგომარეობა, რადგან თუ ნახავენ სილაბუსის ინგლისურ და ქართულ დასახელებას დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, ექსპერტების ვალდებულება იყო კითხვის შემთხვევაში დაეზუსტებინათ საკითხი. ექსპერტთა შემდეგი რეკომენდაციაა, სილაბუსში „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური ზღვრები, რაზეც მან თქვა, რომ ის დაზუსტებულია, უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალური დადგენილება, 2017 წლის 27 დეკემბრის N31, სილაბუსში გამორჩენილია ჩანაწერი, რომელსაც არანაირად არ შეიძლება ჰქონდეს რეკომენდაციის ხასიათი.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ქვარცხავამ თქვა, რომ ექსპერტთა მე - 14 რეკომენდაციაა, სილაბუსში „ღვინის ქიმია“ აღმოიფხვრას დუბლირებები საკუთრივ ამ კურსის ლაბორატორიულ სამუშაოებში და ასევე, „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმიის“ ლაბორატორიულ სამუშაოებთან, განისაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, დაიხვეწოს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების სისტემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა ექსპერტს, თუ იყო განსხვავება ღვინის ქიმიაში ტიტრულმჟავიანობასა და რძე მჟავას განსაზღვრას შორის, რასაც გამოეხმაურა ექსპერტი ნანა წიკლაური, რომ მათ შორის არის მეთოდოლოგიური განსხვავება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მან ეს შეკითხვა ექსპერტს დაუსვა რეკომენდაციიდან გამომდინარე, რომ დუბლირება ხდება საკითხების. ექსპერტმა თქვა, რომ ის დიდი ხანია ისმენს ექსპერტების შეურაცყოფას, რაც არ არის ვიზიტზე და დოკუმენტებზე დაყრდნობილი, აღნიშნული შეკითხვა კი მიიღო როგორც შეურაცხყოფა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია“-ს საკითხების დუბლირებასთან დაკავშირებით, რომ ის ეთანხმება ერთ შენიშვნას, რომ 2

სილაბუსში გამოყენებულია ჯამური მჟავების განსაზღვრა, ხოლო მიკროორგანიზმების განხილვას, ბიოქიმიის სილაბუსში რაც შეეხება, ის ამბობს, რომ მიკროორგანიზმებს სწავლობს მიკრო ბიოლოგიაც და მიკროორგანიზმების მიერ ან ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ქიმიურ პროცესს სწავლობს ბიოქიმია. მისი თქმით, ბიოქიმიაში ისწავლება ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე პროცესები, მათ შორის მიკრო ორგანიზმებშიც. შესაბამისად, ნებისმიერ ბიოქიმიის წიგნში განიხილება მიკროორგანიზმები და მათ მიერ წარმართული ქიმიური პროცესები და ამ პროცესებზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა. რაც შეეხება ლაბორატორიულ სამუშაოებს, ეს არის ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრა, აქტიური მჟავიანობის განსაზღვრა და აქროლადი მჟავიანობის განსაზღვრა - ერთ სამუშაოდ. მან ამოიკითხა ღვინის რეგლამენტიდან განმარტებები, სადაც ეწერა, რომ აქროლადი მჟავიანობა არის ღვინოში აქროლადი მჟავების შემცველობა, ძმარმჟავაზე გამოანგარიშებით, ტიტრული მჟავიანობა - ყურძნის ტკბილსა და ღვინოში არსებული მჟავებისა და მათი მჟავა მარილების შემცველობა, რომელიც იტიტრება ტუტე ხსნარებით და გადაინგარიშება ღვინის მჟავაზე. საუბარია იმაზე, რომ რაც კი მჟავა მარილები არსებობს ღვინოში მათ განსაზღვრაზე, პირველი ორი განისაზღვრება ტიტრიმეტრული მეთოდით ხოლო მესამე კოლორიმეტრული მეთოდით. მან ამოიკითხა ბიოქიმიის სილაბუსი, სადაც ეწერა, რომ ღვინის მჟავას განსაზღვრა, რძემჟავას განსაზღვრა, ვაშლისმჟავას განსაზღვრა, რომლებიც არის ინდივიდუალური ნაერთები, რომელთა შემცველობა და თანაფარდობა, რომელთა წარმოქმნა ღვინოში განაპირობებს ღვინის არომატს და მის გემოვნურ მახასიათებლებს, ხარისხს, და მათი ცალ ცალკე განსაზღვრ ემსახურება, იმას, რომ მკვლევარს შეუძლია შეაფასოს, მოახდინოს გავლენა ამ პროცესზე და შეისწავლოს ამა თუ იმ ფაქტორის ზეგავლენა. ეს სხვადასხვა მეთოდებით განისაზღვრება კოლორიმეტრული მეთოდით, და ის საერთოდ განსხვავდება ტიტრულიმჟავიანობის განსაზღვრისგან, მჟავების განსაზღვრას ეთმობა 4 მეცადინეობა, მისთვის გაუგებარია თანხვედრა სად მოხდა და იმიტომ გაუჩნდა აღნიშნული შეკითხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო რეკომენდაციების ამოკითხვა ექსპერტთა დასკვნიდან, კერძოდ, ექსპერტთა მე-15 რეკომენდაცია არის სილაბუსში „ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი“ შეფასების კომპონენტში გათვალისწინებულ იქნას ლაბორატორიული სამუშაოები და განისაზღვროს ამ სამუშაოების შეფასების კრიტერიუმები, მისი განმარტებით სილაბუსის შეფასების მეთოდში არის ტექნიკური ხარვეზი და აქტივობისას გამორჩენილია ჩანაწერი ლაბორატორიული სამუშაო, მაშინ, როდესაც სწავლის შედეგების მიღწევის შედეგებში მონიშნულია ლაბორატორიული სამუშაოების შესაბამისი აქტივობა, რაც ცხადყოფს, რომ ლაბორატორიული სამუშაოების შეფასება ხდება. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა დასკვნიდან ამოიკითხა რეკომენდაცია, სადაც ეწერა, რომ სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებში მინიმუმ ძირითადი ლიტერატურა და მოხდეს ვალიდურობის გადამოწმება იმ ლიტერატურული წყაროების, რომელებთან მიმართებაშიც არ არის მითითებული გამომცემლობა, და მათი ვალიდურობის შემთხვევაში, ისინი სათანადოდ წარმოდგენილი იქნან სილაბუსებში გამომცემლობის მითითებით, აღიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ საუბარი იყო 2 სილაბუსზე: „ღვინის წარმოების ხარისხის მართვა“, „ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი“, მეორე სილაბუსში ნამდვილად გამორჩენილია გამომცემლობა, თუმცა ამას არ შეიძლება ჰქონდეს რეკომენდაციის სახე, პირველი სილაბუსი კი აგებულია ისე, რომ ის ეყრდნობა საკანონმდებლო რესურსებს, სადაც მითითებულია სახელმძღვანელოები და ინტერნეტ რესურსები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო ექსპერტთა დასკვნის ამოკითხვა, სადაც ეწერა, რომ სასწავლო კურსში „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ აუცილებლად და სირღმისეულად უნდა ისწავლებოდეს მიკროორგანიზმების როლი ნიადაგის წარმოქმნაში და ამ თვალსაზრისით, ვაზის ეკოლოგიასთან მიმართებაშიც. აღნიშნულ რეკომენდაციას ის არ ეთანხმება, რადგან ამ სილაბუსში პირველ, მეორე, მეხუთე და მეექვსე სალექციო თემებში საუბარია მიკროორგანიზმის როლზე, მათ გავლენაზე ნიადაგში ვაზის ეკოლოგიასთან მიმართებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

მისი აზრით, 2.3 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. რაც შეეხება 2.4 ქვესტანდარტს ექსპერტთა დასკვნის მიხედვით ეს ქვესტანდარტი არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან და გაცემულია რეკომენდაცია, რომ უნდა შეიცვალოს სილაბუსის „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ შინაარსი და მოვიდეს მის დასახელებასთან შესაბამისობაში, ექსპერტთა მოსაზრებით ამ სილაბუსში უნდა ისწავლებოდეს ზოგადად კველევის და ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდები და არა კონკრეტულად მევენახეობასა და მეღვინეობაში არსებული კვლევის მეთოდები. მისი თქმით, სტუდენტმა მევენახეობისა და მეღვინეობის მიმართულებით აუცილებლად უნდა იცოდეს კვლევის მეთოდიკა, მიაჩნია, რომ ექსპერტებმა ხელოვნურად დაამძიმეს სიტუაცია. ექსპერტთა შემდეგი რეკომენდაცია არის სილაბუსები „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ და „საველე და საწარმოო პრაქტიკა“ ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გათვალისწინებულ იქნას სტუდენტების უშუალო მონაწილეობა საწარმოო პროცესებში და არა მხოლოდ დათვალიერება/გაცნობა, ეს მოსაზრება დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოკლებულია დასაბუთებას, დასკვნაშივე წერია, რომ სტუდენტები სწავლობენ საწარმოში უსაფრთხოების წესებს, გააჩნიათ პრაქტიკის განხორციელების წესი. ასევე, მან აღნიშნა, რომ სილაბუსებში გარკვევით წერია, რომ შემდეგი კვირების განმავლობაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, პედაგოგები მენტორებთან ერთად უზრუნველყოფენ პრაქტიკის განხორციელებას სილაბუსის თემატიკის შესაბამისად, არსებობს ხელშეკრულებებიც, რომელიც დევს საგანმანათლებლო პროგრამაში. ექსპერტთა მე - 19 რეკომენდაცია არის გაიზარდოს საწარმოო უბანზე სტუდენტების დასწრების საათების რაოდენობა სათანადო დონემდე. მისი თქმით, ექსპერტები არ გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რადგან სტუდენტები 120 კრედიტის ფარგლებში გადიან პრაქტიკას 10 კრედიტის ფარგლებში, „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტისა“ და „საველე და საწარმო პრაქტიკის“ სახით, პროსპექტუს – 5 კრედიტი, კოლოქვიუმს - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი, გარდა ამისა, 16 კრედიტი განკუთვნილია ლაბორატორიული სამუშაოებისთვის, ხოლო 23 კრედიტი - პრაქტიკულ სამუშაოებზე, ისინი ამზადებენ 6 კრედიტის საკურსო პროექტს, ჯამში ეს შეადგენს 106 კრედიტს და ასევე, ემატება არჩევითი კურსებიც 120 კრედიტამდე. შეუძლებელია 120 კრედიტიდან უფრო მეტი საათები ეთმობოდეს ლაბორატორიულ, პრაქტიკულ და კვლევითი კომპონენტის განხორციელებას. ასევე, ექსპერტთა რეკომენდაციაა ძირეულად შეიცვალოს პრაქტიკის დღიურების ჩანაწერების წარმოების წესი და შინაარსი, რაზეც კვლავ აღნიშნა, რომ ექსპერტები არ გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რადგან დამტკიცებული აქვთ პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი, რომელიც ატვირთულია ვებ - გვერდზე და აღნიშნული დასკვნა პირადი მოსაზრებით არის გამოტანილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2.4 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით 2.5 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სადაც გაცემულია რეკომენდაცია, რომ გაძლიერდეს პრაქტიკისა და ლაბორატორიული მუშაობის მეთოდების გამოყენება სწავლების მეთოდებში, რომელიც იმეორებს მე - 19 რეკომენდაციას. აქედან გამომდინარე 2.5 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით 2.6 ქვესტანდარტი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, ამ ქვესტანდარტში გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამაში უნდა მიეთითოს აპელაციისა და პლაგიატის საწინააღმდეგო დოკუმენტები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტში შემუშავებულია ანტიპლაგიატი, გასაჩივრების მექანიზმი კი მოცემულია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში, აპელაციის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, ასევე, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის თვლის, რომ 2.6 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და მთლიანად მე - 2 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე - 3 სტანდარტი ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მათ მიერ გაიცა 24 - ე რეკომენდაცია მე - 4 სტანდარტთან დაკავშირებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სილაბუსების შემუშავება-რედაქტირებაში და სასწავლო-საწარმოო მეცადინეობა-პრაქტიკის სწორად დაგეგმვა-შესრულებაში, რაც მისი მოსაზრებით მოკლებულია

დასაბუთებას, რადგან დასკვნაში აღნიშნულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება (CV), ასევე, წერია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ნაკლებად არის ჩართული სხვადასხვა საგნების სილაბუსების შინაარსის შემუშავებაში და კარგად არ იცნობს მათი განხორციელების პროცესებს. მისი განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობას მოწმობს წარმოდგენილი დიდი მასალა, საგანმანათლებლო პროგრამა, ხელმოწერილი სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიში, თვითშეფასების ჯგუფი, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი შეხვედრის ოქმები, საერთაშორისო ურთიერთობები, ერასმუსში ჩართულობის მაღალი დონე, რომელიც უშუალოდ საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დამსახურებაა. შესაბამისად, 4.1 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, როგორც 4.2 ქვესტანდარტი და 4.4 ქვესტანდარტი. მისი თქმით, 5.1 ქვესტანდარტი ექსპერტთა დასკვნის მიხედვით არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან და გაცემულია რეკომენდაცია, რომ მეორე და მეოთხე სტანდარტები მოვიდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში, რასაც არ ეთანხმებიან, რადგან უხეშად დაირღვა მინისტრის 65/ნ ბრძანება. მისი თქმით, აკრედიტაციის ყველა ქვესტანდარტი განიხილება დამოუკიდებლად. მათ მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი 2 და 17), საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (დანართი 8), საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 9), შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი (დანართი 10), საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (დანართი 12), საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი 13), აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (დანართი 13 და 16), საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც შიდა ასევე გარე განხორციელებული შეფასების შედეგები, დაწესებულების მიერ ჩატარებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი, 2019 წელს საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი შეხვედრის ოქმები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 5.1 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და მთლიანად სტანდარტი 5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა საბოლოოდ შეაჯამა, რომ ქვესტანდარტის შეფასებისას 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.6, 4.1, 4.2, 4.4, 5.1 დარღვეულია მინისტრის 65/ნ ბრძანების მუხლი 25 - ის მე -3 პუნქტი, მუხლი 26 - ის მე - 3 პუნქტი, 26^1 და27^1 მუხლები, დანართი 3. ასევე, აკრედიტაცია ავტორიზაციის ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობების გამოყენებაზე, მათი მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარებაზე, შესაბამისად, მათი პრიორიტეტია მევენახეობა მეღვინეობის სფეროში ცნობილ უნივერსიტეტებთან ურთიერთობები. მათ აქვთ მემორანდუმები და პრაქტიკული თანამშრომლობა საფრანგეთის, იტალიის, მილანის, ავსტრიის, ბუგელამდის, გერმანიის, გაისე არდის წამყვან უნივერსიტეტებთან, ჩატარებული აქვთ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები და პრეზენტაციები, საიდანაც დაწესებულების წარმომადგენელმა გამოყო შეხვედრა რომის პაპთან და პრეზენტაცია გააკეთეს მატერაზის უნივერსიტეტში. გარდა ამისა, მისი თქმით, გადაწყვეტილია თანამშრომლობა ისრაელისა და ავსტრალიის კერძოდ, ადელაიდას უნივერსიტეტთან, მევენახეობა მეღვინეობის ფაკულტეტთან. მანაც აღნიშნა, რომ კონსორციუმი მოხარულია მომავალ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა

აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე კვლევა: თურქეთის აბორიგენული ჯიშების კვლევა, იქ დამზადებული ღვინო წამოიღეს საქართველოში და ჩაატარეს კვლევა შპს ღვინის ლაბორატორიაში და უნივერსიტეტის ლაბორატორიაში. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი სხვა უნივერსიტეტებთან ერთად არის დამფუძვნებელი საპატრიარქოსთან არსებული მევენახეობა, მეღვინეობის ნაციონალურ ეროვნულ ცენტრი, აღნიშნული კვლევები არის უფრო ფართო მასშტაბიანი და ხორციელდება ამ ცენტრთან ერთად, კვლევები მიმდინარეობს ახლაც, საგანმანათლებლო პროგრამა არის გლობალური. ასევე, მან თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მონაწილეობას იღებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ კვლევებში, კერძოდ, პროექტში, რომელშიც ჩართულია სამხრეთ ამერიკა და აფრიკის უნივერსიტეტები მევენახეობა, მეღვინეობის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა ვიზიტები ჩინეთში, არგენტინაში, ხოჯაში, მილანში, სადაც გაკეთდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და დარგის შესახებ პრეზენტაციები. ეს ყველაფერი მათ აძლევს საშუალებას უფრო ფართო ასპარეზზე საერთაშორისო ურთიერთობები გააფართოვონ და გაიზიარონ ცოდნა, მიიღონ პრაქტიკული უნარები, ამ პროგრამაში ჩართულები იყვნენ სტუდენტებიც, შარშან მათ მიიღეს 6 თვიანი გამოცდილება და ისწავლეს მილანის უნივერსიტეტში მევენახეობა მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით, ასევე, მათ ჰყავთ საფრანგეთისა და იაპონიის სტუდენტები. ამ გამოცდილებების საფუძველზე მოხდა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰქონდათ საშუალება მევენახეობა, მეღვინეობის მიმართულებით ჰქონოდათ ურთიერთობა მეტად ცნობილ და აღიარებულ უნივერსიტეტებთან: ლოზანა, მილანი, უდინის, ისრაელი და მსოფლიო დარგის სპეციალისტებთან, ისინი ჩამოდიან საქართველოში და სტუდენტებს აძლევენ საშუალებას დაესწრონ მათ ლექციებს, ჰქონდათ ონლაინ ჩართვებიც. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა დასკვნიდან ამოიკითხა მე - 9 რეკომენდაცია, რომ სასურველია, პირველ სემესტრში დაემატოს მევენახეობა-მეღვინეობის შესავალი არჩევითი კურსი, მისი თქმით საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურს შორის განსხვავება მისთვის გასაგებია, საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტი იღებს ინფორმაციას მევენახეობა, მეღვინეობა და სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით. შესაბამისად, მაგისტრატურაზე მოსულმა სტუდენტმა უკვე იცის მისი შესავალი. ასევე, დააზუსტა, რომ სასწავლო კურსი ამპელოგრაფია სილაბუსის პირველი, მეორე, მეათე და მეთერთმეტე საკითხები, ასევე, მევენახეობის საოპერაციო მართვის სილაბუსის პირველი და მეორე თემები და ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგიის სილაბუსის პირველი, მეორე და მეცამეტე თემები ეთმობა არა მხოლოდ საქართველოს მევენახეობა-მეღვინებას, არამედ მსოფლიო მევენახეობა, მეღვინეობას, სამეურნეო სამეწარმეო მიმართულებები, სასურსათო ღირებულებები, მევენახეობა, მეღვინეობის არსებული მდგომარეობა რეგიონებში მსოფლიო მასშტაბით. ტექნოლოგიის სილაბუსში მევენახეობა მეღვინეობა აქვთ, როგორც მსოფლიო მევენახეობა, მეღვინეობა, განხილულია კლასიკური ფრანგული შამპანური, კლასიკური ფრანგული კონიაკი ქართული ბრენდი. გამომდინარე აქედან, ისინი გასცემენ უფრო ფართო ცოდნას და აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმებიან. გარდა ამისა, ექსპერტთა რეკომენდაცია არის საგანი „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ გახდეს სავალდებულო, რაზეც მან თქვა, რომ ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგიის სილაბუსში მეორე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე დ მეთხუთმეტე თემები არის საწარმოში მოსული ყურძნიდან საბოლოო პროდუქტამდე ყველა ტექნოლოგიური პროცესის განხილვა, შესაბამისად ამ სილაბუსშია განხილული ყველა ის მანქანა აპარატები, რომელიც აუცილებელია, აქვთ ცქრიალა ღვინოების წარმოების მეთოდებში გამოყენებული რეზერვუარი მეთოდი და ა. შ. თუ ბაკალავრი მიზანმიმართულად ირჩევს მევენახეობის მიმართულებას, ირჩევს ნიადაგის და ვაზის ეკოლოგიას, რომელიც არის არჩევით საგანში. შემდეგი ექსპერტთა რეკომენდაციაა მთლიანად შეიცვალოს „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკის“ სილაბუსის შინაარსი და მოვიდეს შესაბამისობაში დასახელებასთან, რაზეც მან თქვა, რომ სილაბუსის

სათაური შეესაბამება შინაარს, დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, სილაბუსს აქვს 2 სახელწოდება: ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი, სადაც დაიშვა შეცდომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პუბლიკაციებთან გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით თქვა, რომ ის არის „მოწყობილობათა ოპერაციის“ ხელმძღვანელი, რომელიც არჩევითი საგანია, ისინი ამ საგანთან მიმართებით უყურადღებოდ არ არიან განწყობილნი და ინგლისურ და იტალიურ უნივერსიტეტშიც ამ სახელწოდებით ისწავლება ეს საგანი და ის შეეხება ფენოლოგიას, პროცესებს, აპარატებს მიმდინარე საწარმოში. ამ კუთხით პუბლიკაციების გამოქვეყნებას რაც შეეხება უფრო რჩევის სახე აქვს, რადგან საგანი არის წმინდა საინჟინრო.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, რომ დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია არგუმენტირებული პასუხის მოსმენის შემდეგ.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, თქვა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში უნივერსიტეტს აქვს ასეთი ჩანაწერი: მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ 01 აგრარული მეცნიერების, 05 მეცნიერება საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თუმცა ვიზიტის დროს, რომ სტუდენტებს შორის წარმოდგენილი იყო 12 სტუდენტი, საიდანაც იყვნენ ბიზნეს ადმინისტრირების სტუდენტი, რომლის კვალიფიკაციის ჩარჩო არის 02 სოციალურ პოლიტიკური მეცნიერება, ანუ 12 სტუდენტიდან 5 სტუდენტი არ შედიოდა 01, 05 საკვალიფიკაციო ჩარჩოში. ბიზნეს ადმინისტრირებიდან იყვნენ: ექიმი, ფინანსისტი, რაც ჩათვალეს დარღვევად. რაც შეეხება მიკერძოებასა და საგანმანათლებლო პროგრამის არ გაცნობას, ეს მისი თქმით, არის სრული აბსურდი, ისინი გაეცნენ დოკუმენტაციას, ყველა შეკითხვა იყო კორექტული და გააზრებული და ემსახურებოდა დოკუმენტაციის გაცნობის დროს შექმნილი მოსაზრებების დაზუსტებას. ღვინის სასმელების ლოჯისტიკის სილაბუსს რაც შეეხება, მან თქვა, რომ ისინი ქართულ საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავენ და არა ინგლისურ ენოვანს, ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები, 15 აპრილს გადაუგზავნეს კორექტირებული დასკვნის პროექტიც წერილობით, რაზეც არ წარმოდგინეს არგუმენტირებული პასუხი, დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ წარმოედგინათ პოზიცია ისინი შესაძლოა გაითვალისწინებდნენ მას, ამის ნაცვლად დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოაგზავნეს წერილი და მხოლოდ 8 მაისს ამ რეკომენდაციებზე პასუხი და რომელიც ახლახან გახდა ექსპერტებისთვის ცნობილი. რაც შეეხება სწავლების რესურსებსა და უზრუნველყოფას, მისი განმარტებით პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კერძოდ, მე -3 დანართში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სადაც მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ წარმოდგენილი ნაშრომები 2017-18 წლებში, ასევე, ისინი დასკვნაში აღნიშნავენ, რომ შეიძლება წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრული, ექსპერტებს დანარჩენ დოკუმენტაციაზე წვდომა არ ჰქონდათ.

ექსპერტმა ლევან გულუამ საბჭოს წევრებს სილაბუსებთან დაკავშირებით მოახსენა, რომ შეიძლება ისინი ცუდი ადამინები არიან, მაგრამ ეს ფაქტებს არ ცვლის, დაწესებულების წარმომადგენლისგან იყო მინიშნება თითქოს ექსპერტებმა დოკუმენტი მოიპარეს შეხვედრის ბოლოს და აღმოაჩინეს შემდეგ, რაც აბსურდია. ფაქტობრივ მასალას რაც შეეხება მისი თქმით, კატასტროფული სიტუაციაა სილაბუსებში, მაგალითად, „ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის“ სილაბუსი, რასთან დაკავშირებითაც ითქვა, რომ ლაბორატორია უნდა წერებულიყო პრაქტიკულ მეცადინეობაში, როდესაც მან ჰკითხა მეცნიერს ლაბორატორიულში რატომ წერია ასეთი მეცადინეობა, მაგალითად, გამოჩენილი მეცნიერების როლი ფიზიკური ქიმიის განვითარებაში, ის ლაბორატორიული მეცადინეობაა თუ არა, მეცნიერმა უპასუხა, რომ არ არის

ლაბორატორიული მეცადინეობა და მსგავსი აბსურდული თემატიკები უწერიათ, არსად წერია, რომ ის პრაქტიკული მეცადინეობაა. ის იყო უპასუხისმგებლო ჩაწერილი საკითხები, რომელიც სინამდვილეში არ სრულდება. ექსპერტმა ასევე, აღნიშნა, რომ „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკაში“ სილაბუსის ავტორს უთხრა, რომ სილაბუსის შინაარსი არ შეესაბამება ლოჯისტიკას, რაც დაუდასტურა დაწესებულების წარმომადგენელმა, მართალი ხარ, მე არ დამიწერია სილაბუსიო, მისი შინაარსი აცდენილია სათაურთან, რაც ტექნიკური ხარვეზი არ არის. მისი თქმით, „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმიის“ სილაბუსში მოცემულია მიკრობიოლოგიის 4 საკითხი, არცერთი ბიოქიმიის სახელმძღვანელოში ეს საკითხები არ არის შეტანილი. ასევე, მან აღნიშნა, “საწარმოთა ნარჩენების მართვა“, სადაც ლიტერატურაში მითითებულია ყვითელი პრესის ლიტერატურა, სერიოზული ნაშრომი არ არის მითითებული, ამავე სილაბუსში არის საკითხი: ზეითუნის ზეთის, ბოსტნეულის, მარცვლეულის და სხვა საწარმოთა ნარჩენების გადამუშავების მეთოდები და გამოყენება, არცერთი ლიტერატურა ამ საკითხს არ შეესაბამება. ასევე, „ღვინის ქიმიის“ სილაბუსში უამრავი ლაბორატორიული მეცადინეობა მეორდება, მაგალითად, მე -2 ლაბორატორიული სამუშაოა დურდოს შემადგენლობაში არსებული მჟავების აქტიური ტიტრული მქროლავი განსაზღვრა, ხოლო მე -7 ღვინის მჟავების აქტიური ტიტრული მქროლავი განსაზღვრა, რაც ერთი და იგივე მეთოდია, ასევე, მე - 3 მეცადინეობაა დურდო შაქრებისა და ეთილის სპირტის მოცულობითი კონცენტრაციის განსაზღვრა, მე - 8 მეცადინეობა -ღვინოში შემავალი შაქრების და ეთილის სპირტის მოცულობითი კონცენტრაციის განსაზღვრა, ელემენტარული ხარვეზებია დაშვებული. ექსპერტი შეეხო „საველე და საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსსაც, სადაც წერია, რომ სტუდენტი მიდის პრაქტიკულ მეცადინეობაზე და ერთი მეცადინეობაში სტუდენტმა უნდა შეისწავლოს სრულიად სხვადასხვა საკითხები: ჯიშური აგროტექნიკის დადგენის მეთოდიკა, მათემატიკური ვარიაციული სტატისტიკური ანალიზი, საშუალო არითმეტიკული, ვენახის გაშენება, ნიადაგის მოვლა დამუშავება, განოყიერებისა და ირიგაციის ოპერაციები და სხვა, ერთ მეცადინეობაში სტუდენტი ვერ ისწავლის ამდენ საკითხს. ასევე, თქვა, რომ საწარმოო პრაქტიკის სილბუსით სტუდენტი საწარმოში ატარებს 45 საათს, 6 სამუშაო დღეს, კვირაში 3-3 საათით, როდესაც მაგისტრებზეა საუბარი. მისი თქმით, არავითარი პრაქტიკული მეცადინეობები არ ტარდება. რაც შეეხება იმას, რომ ღვინის ქიმიის პრაქტიკული მეცადინეობები არ ტარდება უნივერსიტეტის ფარგლებში, ექსპერტის თქმით, ისინი გაესაუბრნენ იმ ქალბატონს, რომელიც მუშაობს დიღმის ლაბორატორიაში და რომელმაც აღნიშნა, რომ „ღვინის ქიმიის“ ლაბორატორიული სამუშაოები ჩვენთან ტარდებაო და გავაგრძელებთო თანამშრომლობას ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთანო. დასკვნაში ყველაფერი დაწერილია სტუდენტებთან და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე. ექსპერტისთვის გაუგებარია, როდესაც ასეთი მატერიალური ბაზა აქვს უნივერსიტეტს რატომ უნდა ტარდებოდეს „ღვინის ქიმიის“ მეცადინეობა უნივერსიტეტის გარეთ, სადაც სტუდენტს არ აფასებენ, ის ფასდება უნივერსიტეტის პედაგოგის შეფასებით. რაც შეეხება პუბლიკაციებს, იმიტომ გაუსვეს ხაზი, რომ ერთადერთ პედაგოგს დ. მ-ეს ჰქონდა რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები და მაგალითად, ნ. ჩ-ს საერთოდ არ ჰქონდა სერიოზულ ჟურნალში პუბლიკაცია, როდესაც ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმღვანელია. „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტების“ სილაბუსზე თქვა, რომ როდესაც მას ეს სახელწოდება აქვს იქ უნდა ისწავლებოდეს რაოდენობრივი და ხარისხისხობრივი ანალიზის მეთოდები, პრობლემის განსაზღვრა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ექსპერიმენტის სანდომიანობის განსაზღვრა განმეორებადობა, ექსპერიმენტის დაგეგმვა, დასკვნის გაკეთება და სხვა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მთავარი საგანმანათლებლო პროგრამაში სილაბუსებია, სადაც კატასტროფული მდგომარეობა, შინაარსობრივი ხარვეზები და საკითხების განმეორებადობა. სტუდენტების შეურაცყოფას რაც შეეხება მისი აზრით, ეს არასერიოზული განაცხადია.

საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, თუ რას ფიქრობდა ექსპერტი კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა,

რომ ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, კურსდამთავრებულს მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრის კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს. ასევე, მან პროცესებისა და აპარატების ძირითად საგნების სიაში გადატანასთან დაკავშირებით სადაც დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტი იყო, რომ ვისაც მეღვინეობა უნდა ის აირჩევს ამ საგანს, თქვა, რომ არის ალოგიკური, რადგან საგანმანათლებლო პროგრამას მევენახეობა მეღვინეობა ჰქვია და ეს არის ერთადერთი საინჟინრო საგანი, რომელიც ამ საგანმანათლებლო პროგრამაშია.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არის მოქმედი და მინისტრის 120/ნ ბრძანების საფუძველზეა შემოტანილი, რაც შემდგომში უკვე დაზუსტდება და მიენიჭება ის კვალიფიკაცია, რაც ექსპერტმა თქვა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის პრაქტიკაში ესეთი დასკვნა არ უნახავს, 4 დონიანი შეფასები სისტემით, ნაწილობრივი შეფასება იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც არის ხარვეზები საგანმანათლებლო პროგრამაში და ინსტიტუციას აქვს მზაობა რომ შეასწოროს ეს ხარვეზები. ის დაინტერესდა რა დოკუმენტებზე დაყრდნობით შეაფასეს საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტებმა, თუ ასეთი კატასტროფული მდგომარეობაა სილაბსებში და ვერ გადიან კვალიფიკაციაზე, მაშინ პირველი სტანდარტი როგორ შეფასდა მეტწილად შესაბამისად, თუ სტუდენტი ვერ იღებს იმ ცოდნას, რასაც უნდა იღებდეს, მაშინ მე - 3 სტანდარტი როგორ შეფასდა სრულად შესაბამისად, ასევე, მე - 5 სტანდარტი, რომელიც მოიცავს 3 ქვესტანდარტს, 2 მათგანი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, მაშინ როგორ გამოვიდა მე - 5 სტანდარტი შეუსაბამო მოთხოვნებთან.

ექსპერტმა დაწესებულების წარმომადგენელს უპასუხა, რომ დოკუმენტზე მუშაობს 4 ექსპერტი, საიდანაც ყველას აქვს თავისი აზრი, შესაბამისად ის შეიძლება არ იყოს შესაბამისი ერთმანეთის დასკვნასთან. მისი თქმით, მთავარი ის არის, რომ სილაბუსები არის კატასტრობა.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ის ვერ დაეთანხმება ექსპერტს, რადგან დასკვნა არის კონსოლიდირებული კოლექტიური შედეგი. მისთვისაც გაუგებარია, თუ სილაბუსები და პერსონალი საგანმანათლებლო პროგრამას არ უვარგა როგორც შეფასდა პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისად. ასევე, დაწესებულების ხარისხის წარომადგენელს მიმართა, რომ არ შეიძლება დოკუმენტურად ამდენი ხარვეზი ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტმა თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას არაფერი არ უვარგაო მათ არ უთქვამთ, ეს არის უტრირებული აზრი.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ 4.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით დაამატა, რომ ის არის ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან, საგანმანათლებლო პროცესს წარმართავენ პატივსადები პროფესორები, თუმცა იყო ხარვეზები, არ ჰქონდათ წარმოდგენილი გამოქვეყნებული პუბლიკაციები, ასევე, 4.2 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. რაც შეეხება მატერიალურ ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი ტექნიკური ბაზა და შეუსაბამოდ სტანდარტი შეფასდა იმიტომ, რომ არ ხდებოდა მისი გამოყენება. ამავე სტანდარტში საუბარი იყო ბიუჯეტზეც, რომელიც შეუსაბამო იყო, ისინი ეყრდნობოდნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იმის იქით როგორ ხდება დაფინანსება ამას ექსპერტები ვერ ხედავენ. მან აღნიშნა, რომ როდესაც გასაუბრებისას ექსპერტი ჩაეკითხა დაწესებულების წარმომადგენელს საიდან მოდიოდა თანხები ბიუჯეტში, ამან გამოიწვია გიორგი ქვარცხავას გაღიზიანება. გამომდინარე აქედან, როდესაც 1 საკითხი არის შეუსაბამო, სტანდარტი ფასდება შეუსაბამოდ. ექსპერტი თვლის, რომ როდესაც ასეთი ხარვეზებით იქნა დოკუმენტაცია წარმოდგენილი ის შეუსაბამოა მოთხოვნებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტურად მუშაობის შემთხვევაში ის ასეთი ხარვეზებით არ იქნებოდა წარმოდგენილი.

ექსპერტმა მამუკა კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ ის აკადემიურ სისტემაში მუშაობს და ამდენი შეურაცყოფა არ მიუღია არასდროს, ის ნამდვილად არ იმსახურებდა ამას. მან განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მისი შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამასთან არის მეტწილად შესაბამისი. ექსპერტთა დასკვნაში შეფასებულია ეს ყველაფერი, შედეგები შესაბამისობაშია მიზანთან მაგრამ როგორ მიიღწევა შედეგი ეს კიდევ სხვა საკითხია.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ქვარცხავამ დადასტურა მამუკა კოტეტიშვილის მიმართ დიდი პატივისცემა. მან შეკითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტები ჩარიცხულები არიან იმ მდგომარეობით, რაც ჰქონდათ 2019 წლის 30 სექტემბერამდე, რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტმა გასცა უკვე გამოსწორებული აქვთ ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში. მეორე, სათაურს შორის განსხვავებას ინგლისურსა და ქართულს შორის „ღვინის ლოჯისტიკაში“, თქვა, რომ მათ ექსპერტებს მაშინვე დაუდასტურეს, რომ ლოჯისტიკის მაგივრად უნდა იყოს კანონმდებლობა. რაც შეხება იმას, რომ წერილობითი პასუხი უნდა გაეცა ექსპერტებისათვის, ამის ვალდებულება დაწესებულების წარმომადგენლებს არ აქვთ. დაწესებულების წარმომადგენელს უკვირს რა ინდიკატორებზე დაყრდნობით ამბობს ლევან გულუა ფრაზებს: „არ სწავლობს“, „არ ტარდება“, „არ სრულდება“, მას შეეძლო ენახა „ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის“ სილაბუსში ლაბორატორიული სამუშაოა მითითებული თუ პრაქტიკა. ასევე, „ღვინის ქიმიის“ სილაბუსთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიები არ ტარდება, რომც არ ტარდებოდეს ის დაინტერესდა ამით რომელი სტანდარტი ირღვევა, არიან საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც ხელშეკრულებები 200კმ დაშორებით აქვთ გაფორმებული ლაბორატორიებთან. რაც შეეხება პუბლიკაციებს, მისი თქმით, მან ჩამოთვალა სტუდენტის ხელმძღვანელები, მათ შორის, თ. გ-ი, თუ ვინმეს უფრო მაღალი კვალიფიკაცია აქვს, იმათაც ჩართავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში. დურდოსთან და ღვინოსთან გაცემულ რეკომენდაციაზე, კი თქვა, რომ სტუდენტი დურდოდან ღვინოში გადატანისას სწავლობს თუ რა კომპონენტები იცვლება. სილაბუსთან დაკავშირებით, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ არ არის სავალდებულო მისი სილაბუსი ისწავლებოდეს სავალდებულოდ. რაც შეეხება, იმას, რომ ბიუჯეტის წარმოდგენამ გაღიზიანება გამოიწვია მასში, თქვა, რომ არანაირი გაღიზიანება ამას არ გამოუწვევია, ბიუჯეტზე მან 3 ჯერ გასცა პასუხი. მისთვის გაუგებარია, რატომ თვლიან ექსპერტები შეურაცხყოფილად თავს, როდესაც მთელი ფაკულტეტი მე - 3 თვეა შეურაცხყოფილად თვლის თავს.

დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკასთან დაკავშირებით დაამატა, რომ ეს არის საბოლოო ეტაპი, მას მანამდე გავლილი აქვს საკითხები ამპეროგრაფიაში.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტს არ ჰქონდა ლაბორატორია, მემორანდუმი ჰქონდა დაწესებულებას გაფორმებული ლაბორატორიასთან და იქ აწარმოებდნენ კვლევას. ის დაინტერესდა, როდესაც ტექნიკურ უნივერსიტეტს ასეთი მატერიალურ ტექნიკური ბაზა აქვს ადგილზე რატომ არ ახორციელებდნენ სტუდენტები პრაქტიკას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ „ღვინის ქიმიის“ სილაბუსი ისწავლება პირველად, მათ ჰქონდათ „ენო ქიმიის“ სილაბუსი, რაც აერიათ ექსპერტებს ერთმანეთში. 2015 წელს, როდესაც შემუშავდა ის საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტს თავისი ლაბორატორია არ გააჩნდა. ფაკულტეტი 2016 წელს გადმოვიდა ახალ შენობაში და მოეწყო ლაბორატორია და საგანმანათლებლო პროგრამაც მოვიდა შესაბამისობაში ამ კუთხით. ასევე, აღნიშნა, რომ წინა საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰქონდა დაშვების წინაპირობა, ხოლო ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში უკვე გათვალისწინებულია ეს პირობა.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ თიკანაშვილი თქვა მე - 3 სტანდარტთან დაკავშირებით, რომ სტუდენტი რა შედეგზე გადის ამაზე საუბრობს თვითშეფასების ანგარიში, სადაც წერია, რომ პროფესიის მიხედვით კურსდამთავრებულთა 80% - ია დასაქმებული. ასევე, 3.1 და 3.2 ქვესტანდარტებში წერია, რომ სტუდენტები გადიან კონკრეტულ შედეგზე, მათ შორის მონაწილეებენ გაცვლით პროგრამებში, იღებენ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, საქმდებიან, ალბათ გამომდინარე აქედან შეფასდა მე - 3 სტანდარტი, როგორც სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის მთავარი სიკეთეების გამოყენება სტუდენტს თუ შეუძლია და თუ დასკვნას ყველა ექსპერტი აწერს ხელს მაშინ მისთვის გაუგებარია ასეთი დასკვნის დაწერა. ის პირადად სიღრმისეულად გაეცნო დოკუმენტაციას და გაუჩნდა გარკვეული შეკითხვები, რისი დაზუსტებაც უნდოდა. ასევე, მე - 5 სტანდარტთან მიმართებით თქვა, რომ სტანდარტში გაცემულია მხოლოდ 1 რეკომენდაცია, რომ მე 2 და მე 4 სტანდარტი არ არის შესაბამისი სტანდარტებთან, სტანდარტის შეფასება კი დამოუკიდებლად ხდება და დამოუკიდებლად უნდა მიეთითოს არგუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფს თავჯდომარემ მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ როდესაც ისინი აფასებენ ახალ საგანმანათლებლო პროგრამას, მათ არ იციან რა იყო ძველ საგანმანათლებლო პროგრამაში და რითი იყვნენ ის კურსდამთავრებულები კმაყოფილები, დამსაქმებლებთან საუბრისას კი გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული იყო დასაქმებული წარმოდგენილ დამსაქმებლებთან. თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ 80% არის დასაქმებული, თუმცა ამ ფაქტს ვერც დაადასტურებენ და ვერც უარყოფენ. რაც შეეხება შიდა ხარისხის შეფასებას, ის გულისხმობს სილაბუსების შეფასებასაც, მიზანი საგანმანათლებლო პროგრამას აქვს იდეალური, თუმცა მიღწევაში არის დიდი ხარვეზი, შიდა ხარისხის სამსახური არ მუშაობს კარგად, ისინი გაეცნენ 2015 წლის 18 მარტის N43 გადაწყვეტილებას, ამან განაპირობა სტანდარტის შეუსაბამოდ განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მას წარმოდგენილი აქვს, რომ სტუდენტების 83% დარგის მიხედვით არიან დასაქმებულები. ექსპერტმა დააზუსტა, რომ ის საუბრობდა ვიზიტზე წარმოდგენილი დამსაქმებლებიდან დასაქმებულ სტუდენტებზე. უნივერსიტეტს აქვს შესანიშნავი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, თუმცა სტუდენტები პრაქტიკას გადიან ღვინის ლაბორატორიაში, ის დაინტერესდა მაშინ, როგორ ხდებოდა ლაბორატორიული მუშაობის შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ „ღვინის ქიმია“ ისწავლება პირველად, ადრე როდესაც მათ მატერიალურ -ტექნიკური ბაზა არ ჰქონდათ სხვა საგნის პირობებში გატანილი ჰქონდათ ღვინის ლაბორატორიაში, რომელიც არის 3კმ - ში. უნივერსიტეტში უკვე გამოვიდა დადგენილება, რომ მათ ლაბორატორიებში განხორციელდება პრაქტიკა და სტუდენტი შეფასდება კანონის მიხედვით. ასევე, თქვა, რომ რეკომენდაციების ნაწილი უკვე გათვალისწინებულია, უკვე აღარ არსებობს ეს ხარვეზები, ის გასწორებული იქნა 2019 წლის 30 სექტემბერს, თუ ექსპერტებს ჰქონდათ შეკითხვა უნდა დაეზუსტებინათ ინფორმაცია. საგანმანათლებლო პროგრამის 80% დასაქმებულია თავისი დარგის მიხედვით, მთავარი მიზანი ხომ სტუდენტის დასაქმებაა. მისი თქმით, ასეთი ცუდი საგანმანათლებლო პროგრამა, რომ ყოფილიყო მათ ვერ ექნებოდათ მსგავსი საერთაშორისო ურთიერთობა წამყვან უნივერსიტეტებთან.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ, რომელიც არ მონაწილეობდა განხილვაში დააზუსტა რამდენი დამსაქმებელი იყო წარმოდგენილი ვიზიტზე, რაზეც ექსპერტმა თქვა, რომ წარმოდგენილი იყო დაახლოებით 6 დამსაქმებელი. ამაზე საბჭოს წევრმა განმარტა, რომ რეალურად საუბარი იყო “სტეიქჰოლდერებზე”, (stake holders) რომლებიც ქართულად ითარგმნება როგორც დამსაქმებელი, რეალურად კი არის დაინტერესებული პირი.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ქვარცხავამ დააზუსტა, რომ ექსპერტი მართალია წარმოდგენილი იყო რამდენიმე ექსპერტი, თუმცა დიმიტრი გეგენავა სწორად მიხვდა რაში იყო საქმე.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ მიიჩნია, რომ 2.1, 2.3 და 2.4 ქვესტანდარტები ნაცვლად „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან", უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან", 4.4 ქვესტანდარტი ნაცვლად „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან". 5.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან" შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან". 5.3 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან" შეფასდეს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან". შესაბამისად, მე-2 სტანდარტი, ნაცვლად „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორს „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან", მე-4 სტანდარტი ნაცვლად „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო მე-5 სტანდარტი ნაცვლად „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან", უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან".

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
ა) შეიცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია ამჟამინდელი მისანიჭებელი კლასიფიკაციის მიხედვით და ჩამოყალიბდეს როგორც 0811.1.2 - მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი;
ბ) დაზუსტდეს და პროგრამის რელევანტურად გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
გ) საგანი „მოწყობილობათა ოპერაციები" გახდეს სავალდებულო და აისახოს პროგრამის შედეგებში;
დ) სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოების შინაარსი და თემატიკა;
ე) გადაიხედოს საგნის სილაბუსები და განახლდეს ლიტერატურა და მიეთითოს თემატიკის ადეკვატური და შესაბამისი მასალა;
ვ) დაზუსტდეს სათაური საგანში „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა" და შესაბამისად გადაიხედოს შინაარსი;
ზ) ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმიის ოთხი საკითხი წარმოადგენს გადაფარვას ღვინის მიკრობიოლოგიის გაღრმავებული კურსის საკითხებთან. ღვინის ქიმიის სასწავლო კურსის სამი საკითხი წარმოადგენს ყურძნის ტკბილის და ღვინის ბიოქიმიის სასწავლო კურსის საკითხების გადაფარვას, შესაბამისად აღმოიფხვრას არსებული გადაფარვები;
თ) სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების სისტემა და კრიტერიუმები;
ი) სილაბუსს „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი" დაემატოს თემატიკა კვლევის მეთოდედების და მეთოდოლოგიის მიმართულებით;
კ) სილაბუსში „საველე და საწარმოო პრაქტიკა" გაიზარდოს სტუდენტების პრაქტიკული მუშაობისთვის განსაზღვრული დრო და იყოს ორიენტირებული სტუდენტის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკულ საქმიანობაზე. უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების უშაულო პრააქტიკული მუშაობა და დეტალურად გაიწეროს მათი შეფასების კრიტერიუმები;
ლ) პროგრამაში დასაქმებულმა აკადემიურმა პერსონალმა გააქტიუროს საქმიანობა კვლევითი რეპუტაციის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო კვლევებში მონაწილოების მიმართულებით;

მ) დაწესებულებამ ხელი შეეწყოს აკადემურ პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებასა და კვლევების საერთაშორისო დონეზე განხორციელებას;
ნ) დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს მონიტორინგი სილაბუსებსა და პროგრამაზე, ასევე მათ ტექნიკურ და შინაარსობრივ გამართულობაზე ეფექტური ზედამხედველობა.
რჩევები:
ა) შედეგების აპელაციის სისტემის გამარტივება და მის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა;
ბ) სტუდენტებისთვის საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზებზე უნივერსიტეტის გარეთ ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
გ) საგანი „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ გახდეს სავალდებულო;
დ) პროგრამის აღწერაში დაემატოს არჩევითი კურსები: „ფიზიკური და კოლოდური ქიმია“, „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“;
ე) ცხრილში „პროგრამის საათობრივი დატვირთვა“ გასწორდეს შეცდომები;
ვ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის მიზნით, სასურველია, გარკვეული პერიოდულობით ხდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
ზ) სასურველია, პირადი ელექტრონული მონაცემების მითითებით სტუდენტებს ნებისმიერი ადგილიდან ჰქონდეთ წვდომა საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებთან.
თ) გასწორდეს ხარვეზები ბიუჯეტის წარმოდგენილ დოკუმენტში და სრულად იქნას დათვლილი პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0
გადაწყვეტილება

- პირობითი აკრედიტაციის შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია წელიწადითა და ექვსი თვით.

გიორგი თურქიამ დატოვა სხდომა.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიზაინი (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 05 დეკემბრის N188 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	დიზაინის ბაკალავრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	0803
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ზ. გორგილაძე/ვაჟა - ფშაველა 19/32
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	05.12.2018
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 02 დეკემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 05 დეკემბერი

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტელე - რადიო ჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 05 დეკემბრის N192 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	0703
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი[1]	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ზ. გორგილაძე/ვაჟა - ფშაველა 19/32
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	05.12.2018
14		1 წელი

	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 02 დეკემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 05 დეკემბერი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე და მეოთხე საკითხები ეხებოდა ერთიდაიგივე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)“ და „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები განხილულიყო ერთად. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ შუამდგომლობას.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)“ და „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხზე.

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 05 დეკემბრის N188 გადაწყვეტილებით

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება

- რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სფეროს საგნებს დაემატოს სპეციალურად ამ პროგრამისთვის შემუშავებული ორი ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი. ერთი მათგანი სტუდენტებს დიზაინის სფეროს უახლეს ტენდენციებს გააცნობს (პირობითი სათაური შესაძლებელია იყოს „დიზაინის თანამედროვე ტენდენციები“), ხოლო მეორე შეასწავლის თანამედროვე ქართული ხელოვნების როგორც ტრადიციულ, ასევე უახლეს დარგებსა და მიმდინარეობებს (პირობითად ეს შესაძლოა იყოს „თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია“);

- არჩევითი სასწავლო კურსების სიაში არის კურსი „სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში“. რეკომენდებულია კურსი გადამუშავდეს და მას დაემატოს სამეწარმეო სამართლის საკითხები, რაც უკეთ მოამზადებს სტუდენტს დამოუკიდებელი სამეწარმეო და შემოქმედებითი კარიერისათვის, მისცემს მას აუცილებელ ცოდნას შრომის ბაზარზე დასამკვიდრებლად;
- რეკომენდირებულია პროგრამა განვითარდეს ახალი ტექნოლოგიების კუთხით, ანუ დაემატოს კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები პროფესიული კუთხით (მედია კლასტერი) მაგ. Adobe Ilustrator და/ან Adobe Photoshop, რაც სახელოვნებო მიმართულების ბაკალავრს კონკურენტუნარიანს გახდის აკადემიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით;
- რეკომენდებულია, რომ სპეციალობის სფეროში მიმდინარე უახლესი ტენდენციების გასაცნობად სილაბუსებში დამხმარე მასალად შესაბამისი პროფილის ქართული და უცხოური პერიოდული გამოცემები იყოს მითითებული (ასეთ პერიოდიკას განეკუთვნება, მაგალითად, ჟურნალები: „სტილი“, „ინტერიერი“, INTERNATIONAL TEXTILES, ИНДУСТРИЯ МОДЫ, АТЕЛЬЕ და .შ.
- მოდისა და ტექსტილის დიზაინის სფეროში სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველსაყოფად (მოდის ინდუსტრიის ტენდენციების გასაცნობად) რეკომენდებულია ინდივიდუალური პრაქტიკის კომპონენტის გაღრმავება და გამრავალფეროვნება საბაკალავრო პროგრამის ორივე კონცენტრაციაში;
- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს სწავლა/სწავლების ის კონკრეტული მეთოდები (ამჯერად, განურჩევლად დისციპლინისა, ყველგან ყველა მეთოდია მითითებული), რომლებიც თვალნათლივ დადასტურდება სილაბუსის შინაარსის გაცნობისას;
- ბხსუ-ს ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გადამწყვეტი აქტივობები (ტრენინგები, ენის კურსები და სხვა), რათა შემუშავდეს აკადემიური პერსონალის გადამზადების კონკრეტული გეგმა;
- შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების მიზნით, რეკომენდირებულია დაინერგოს საწარმოო პრაქტიკა ე.წ. ინტერნშიფი თუნდაც წინასადიპლომო პერიოდში;

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 05 დეკემბრის N192 გადაწყვეტილებით

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომნდაციების შესრულება

- საგანმანათლებლო პროგრამასა და მასთან თანდართული კურიკულუმის რუკაში წარმოდგენილი კრედიტების განაწილების სისტემა არის ერთმანეთის შეუსაბამო. რეკომენდებულია - ჩანაწერი გასწორდეს ისე, რომ საგანმანათლებლო პროგრამასა და მასთან თანდართული კურიკულუმის რუკაში წარმოდგენილი იყოს კრედიტების განაწილების ერთიანი სისტემა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის კვალიფიკაცია. კვალიფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია - პროგრამის მიზანსა და შედეგებში აისახოს მასობრივი კომუნიკაციის, მედიისა და კომუნიკაციათმცოდნეობის დარგის ფართო სპექტრის სპეციალისტის მომზადება;
- ასევე, რეკომენდებულია - პროგრამის შინაარსი გაძლიერდეს მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით; პროგრამის სტრუქტურას (პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით) სავალდებულო დისციპლინად დაემატოს სასწავლო კურსი/კურსები: მედიათეორიები; შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში /ან ჟურნალისტიკა მასობრივ კომუნიკაციაში; სპეციალობის არჩევით დისციპლინებს დაემატოს სასწავლო კურსი/კურსები: მასობრივი

კულტურა და მედიატექსტი; და/ ან ც; და/ან ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები“ (ეს უკანასკნელი გააძლიერებს პროგრამაში რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებებს);

- პროგრამის შედეგებში მითითებულია, რომ უზრუნველყოფს სპორტული ჟურნალისტიკის მიმართულებით ცოდნის მიღების შესაძლებლობას. რეკომენდებულია - პროგრამას არჩევით დისციპლინად დაემატოს სასწავლო კურსი სპორტული ჟურნალისტიკა;
- სილაბუსებში “ახალი მედია I” და “ახალი მედია II” ძირითად ლიტერატურად მითითებულია ერთი და იგივე წიგნები. რეკომენდებულია - სასწავლო კურსში „ახალი მედია II“ ძირითადი ლიტერატურა იყოს განსახვავებული. ამ დარგში ქართულ ენაზე არსებული სასწავლო მასალის სიმწირის გათვალისწინებით, მომზადდეს ჰენდაუთები უცხოურ თანამედროვე ლიტერატურაზე დაყრდნობით;
- პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად რეკომენდებულია - გაიზარდოს კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით რეკომენდებულია - I კატეგორიის სპეციალისტად შეირჩეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი;
- სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია-საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში; თანამედროვე ტექნოლოგიებით სასწავლო აუდიტორიების აღჭურვილობის გაფართოება; სწავლა - სწავლების პროცესის სრული ავტომატიზაცია;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)“ და „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 10
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)“ და „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი: შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 07 დეკემბრის N200 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
7		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	06
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N31
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	26.11.2018
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 06 დეკემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 26 ნოემბერი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 07 დეკემბრის N200 გადაწყვეტილებით
დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება

- სილაბუსების უმეტესობაში შეფასების კრიტერიუმები იდენტურია, ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს ქულების დაყოფაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებულია დალაგდეს სილაბუსები პირადი შეხედულებების მიხედვით, ასევე კურსის სპეციფიკის მიხედვით იმისათვის, რომ თითოეული ლექტორის აკადემიური თავისუფლება იყოს დაცული;

- ზოგიერთ სილაბუსში საჭიროა შეფასების დეტალური კრიტერიუმების გაწერა. საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე სტუდენტებს უნდა შესთავაზონ გამოცდის თემები ორი ან მეტი კომპონენტით იმისათვის, რომ გადამოწმდეს მათ მიერ მთელი სემესტრის მანძილზე მიღებული ცოდნა;
- უნივერსიტეტმა უნდა გადაამოწმოს და დაამუშაოს ზოგიერთი სილაბუსის შეფასების კრიტერიუმი, შეფასება მოცემული უნდა იყოს დეტალური ფორმით, კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით რომელსაც გამოიყენებს პროფესორი;
- ინტერნაციონალიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია სასწავლო ნაწილის გარკვეული ნაწილი წაკითხულ იქნას უცხოურ ენაზე (ინგლისური, გერმანული). აღნიშნული მიდგომა ასევე კარგი გზაა არის უცხო ენის უნარის განვითარებისათვის. ასევე ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში დაეხმარება კარიერულ წინსვლაში და განვითარებაში. უნივერსიტეტმა ფოკუსირება უნდა მოახდინოს სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლითი შესაძლებლობების ჩამოყალიბებაზე. უნდა გაგრძელდეს მუშაობა არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან იმისათვის რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა გამოყენებული იქნას პროგრამის განვითარების მიზნით;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 10
მოწინააღმდეგე - 0
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომა დაიხურა: 20:07 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა